

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი



ლიკა არბოლიშვილი

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო და მისი შემცირება სასამართლოს მიერ

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

გიორგი რუსიაშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი

თბილისი

2019 წელი

## სარჩევი

შესავალი-----	3
1. ვალდებულებითი ურთიერთობის არსი-----	4
1.1 ვალდებულებითი ურთიერთობის თავისებურებანი-----	5
1.2 ვალდებულების შესრულება-----	8
1.3 ვალდებულების დარღვევა-----	11
2. ხელშეკრულების თავისუფლების არსი-----	12
2.1 ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა-----	16
3. მომხმარებელი, როგორც ხელშეკრულების „სუსტი“ მხრე-----	19
4. პირგასამტეხლო, როგორც ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება-----	21
5. პირგასამტეხლოს განსაზღვრა და მისი სამართლებრივი შედეგები---	25
5.1 შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, როგორც მოვალის „დასჯის“ მექანიზმი-----	28
5.1.1 პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლები და სასამართლოს როლი მოვალის ინტერესების დაცვის კუთხით-----	32
5.1.2 პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება-----	36
6. სასამართლო პრაქტიკა-----	38
6.1 საზღვარგარეთის სასამართლო პრაქტიკა-----	47
დასკვნა-----	48
ბიბლიოგრაფია-----	51

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, ვფიქრობ, ქართულ რეალობაში არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის გამოაშკარავებასა და დეტალურ განხილვას, კერძოდ, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრების ტენდენციასა და მისი შემცირების აქტუალურობას.

დღესდღეობით საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ხშირია ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობა და შემდგომი რღვევა. რეგულირებისთვის ქართულ სამართალში რამდენიმე მოწესრიგებას ვხვდებით, თუმცა 100%-ით არაა დაცული ორივე მხარის უფლება-მოვალეობები და ძალიან ხშირად ერთ-ერთი მხარე „დაუცველად“ კი მოგვევლინება ხოლმე. განსახილვევი თემის ანალიზი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ დღემდე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოსა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვა არ მომხდარა არცერთი ავტორის მიერ ცალკე აღებულ ნაშრომში, ეს იქნებოდა სტატია, მონოგრაფია თუ დისერტცია. გარდა ამისა, იზრდება აღნიშნული საკითხით დაზარალებულ მხარეთა რიცხვი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით ხშირია გამარტივებული წარმოებისას დაკისრებული თანხების შეუსაბამოდ მაღალი რაოდენობა მეორე მხარის (შესაძლებელია საპატიო მიზეზით) წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

განსახილველი თემს ფარგლებში შვებები საქართველოს პრაქტიკას, მათ შორის სასამართლოსას, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ მიდგომებს და განვიხილავ საკითხს უცხოენოვანი ლიტერატურის დახმარებით.

გარდა აღნიშნულისა, თემის ანალიზი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ გამოკვეთოს ყველა ის პრობლემა, რომლებსაც ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ვაწყდებით, რომლებიც ჩვენთვის, როგორც იურისტებისთვის, კიდევ უფრო მეტად მტკივნეული საკითხია და ვეცადოთ გადაჭრის გზებს ვეძიოთ. ვცხოვრობთ თანამედროვე, სამართლებრივად მოაზროვნე საზოგადოებაში და ვალდებულებიც კი ვართ ყველაფერს სამართლებრივი კუთხით მივუდგეთ.

ჩემი არჩეული თემის მიზანი ისიც იყო, რომ დღის წესრიგში დადგეს საკანონმდებლო დონეზე რეგულაციების შემოღების საკითხი. ხელშეკრულების პირობების რღვევისას ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფი მოვალე კიდევ უფრო ცუდ დღეში ვარდება შეუსაბამო თანხების დაკისრებით. რისი შედეგიც ხშირად იძულებითი წესით გასხვისებული ქონება და გამოსახლებებია

(აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, მდგომარეობა კრიტიკულია ამ მხრივ). ხალხს ნდობა ეკარგება სამართლისა და სამართლიანობის და ზოგჯერ ფატალურ შედეგამდეც მიდის ეს ყველაფერი. ბოლო პერიოდის მონაცემებით, საკმაოდაა გაზრდილი ემიგრანტების რიცხვი, ასევე დგება მკვლევლობებისა და სუიციდების საფრთხეც.

ყოველივე ზემოთაღნიშულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ნაშრომი კიდევ ერთ სიტყვას იტყვის დღევანდელი მდგომარეობის გამოააშკარავებლად, კიდევ ბევრ კითხვას გააჩენს, პასუხებსაც და გამოსავლის ძებნაზე დაგვაფიქრებს.

სწორედ ამიტომ, ნაშრომის მიზანი ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების დანახვა, ასევე მათი შეცვლისა და ინტერპრეტაციის ეფექტური გზების ძიება გახლავთ.

## 1. ვალდებულებითი ურთიერთობის არსი

ვალდებულებითი სამართალი არეგულირებს ვალდებულებით ურთიერთობებს. ვალდებულებითია ურთიერთობა, რომლის საფუძველზე ერთ მხარეს (კრედიტორს) შეუძლია მოსთხოვოს მეორე მხარეს (მოვალეს) ამა თუ იმ ქმედების შესრულება (316 I). ამავედროულად, კონკრეტული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, როგორც კრედიტორს ასევე მოვალეს შეიძლება ეკისრებოდეს ერთმანეთის ქონებისა და ინტერესებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება, რაც ამ სიკეთეთა ორგანული სიმრთელის დაცვას გულისხმობს (316 II).<sup>1</sup>

ვალდებულებითი სამართალი არეგულირებს ვალდებულებით ურთიერთობებს. ვალდებულებითი ურთიერთობა ესაა კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ფარდობითი ხასიათის ურთიერთობა, რომელიც სხვა უფლებებთან ერთად მოიცავს კრედიტორის უფლებას, მოსთხოვოს მოვალეს გარკვეული მოქმედების განხორციელება ან ასეთისგან თავის შეკავება (შესრულება), და გულისხმობს ორივე მხარის ვალდებულებას, განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინონ ერთმანეთის ქონებისა და ინტერესებისადმი.<sup>2</sup>

ვალდებულებები, რომელთა საფუძველზე კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესრულება, ხოლო მოვალე ვალდებულია, შეასრულოს (316 I), კოდექსის მესამე წიგნს მიღმაც გვხვდება. ასეთ ვალდებულებათა რიგს

<sup>1</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 316, 2016 წ.

<sup>2</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 316, 2016 წ.

მიეკუთვნება მაგ. გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (79 II 1), ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმ ქმედებისათვის, რომელიც ხელს უშლის ვალდებულების შესრულებას გარკვეული პირობის დადგომის შემთხვევაში (95 II), ცრუ წარმომადგენლის პასუხისმგებლობა (113), საქორწინო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები (1172 და მომდევნო მუხლები), რჩენის ვალდებულება (1182 და მომდევნო მუხლები), სავალდებულო წილიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობანი ანდერძითა და კანონით მემკვიდრეებს შორის (1371 და მომდევნო მუხლები), ვალდებულებითი ურთიერთობა ლეგატსა და ბენეფიციარს შორის (1383 და მომდევნო მუხლები).<sup>3</sup>

### 1.1 ვალდებულებითი ურთიერთობის თავისებურებანი

ვალდებულებითი სამართალი ეფუძნება გარკვეულ სამართლებრივ პრინციპებს, რომლებიც სამართლის ამ დარგის ღირებულებათა სისტემას და მის სოციალურ-პოლიტიკურ არქიტექტურას ქმნიან. ეს პრინციპები გადამწყვეტ როლს თამაშობს სამოქალაქო კოდექსის განმარტების და მასში საკანონმდებლო ხარვეზების შევსების პროცესში.<sup>4</sup>

ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია კეთილსინდისიერების პრინციპი. ამ პრინციპზე დაფუძნებულია მთელი სამოქალაქო მართლწესრიგი.<sup>5</sup> ეს პრინციპი არის კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებათა კერძო სამართალში რეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმი.<sup>6</sup> კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო სამართლის უმთავრესი<sup>7</sup> და ზოგადსავალდებულო პრინციპია, რომელიც არ შემოიფარგლება ვალდებულების შესრულების სეგმენტით (იხ. 361 II).<sup>8</sup> კეთილსინდისიერი ქცევა ევალება ვალდებულებითი ურთიერთობის ნებისმიერ მონაწილეს (8 III) და არ ექვემდებარება ხელშეკრულებით შეზღუდვას ან გამორიცხვას.<sup>9</sup>

<sup>3</sup> ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 7

<sup>4</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 316, 2016 წ.

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

<sup>6</sup> ჩაჩანიძე, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, N3, 2010, გვ. 22, 24

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება

<sup>8</sup> ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14, 38 და მომდევნო გვერდები.

<sup>9</sup> ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14, 38; ასევე იხ.

კეთილსინდისიერების პრინციპიდან იწარმოება, ივსება ან მას ეფუძნება ვალდებულებითი სამართლის ისეთი ცენტრალური ნორმები, როგორცაა მაგ. 115, 316 II, 361 II, 398, 399. ამ ნორმების გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ისინი კეთილსინდისიერების პრინციპის დაკონკრეტებული მაგალითებია და მათი განმარტების შედეგები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ პრინციპის არსთან.<sup>10</sup> საექვოობისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ განმარტებას, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპთან უფრო ახლოს დგას. კეთილსინდისიერების პრინციპი გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულებათა მომზადების (317 II, 318), განმარტების (52, 337-340)<sup>11</sup> და შესრულების (115, 316 II, 361 II)<sup>12</sup> და შესრულების (115, 316 II, 361 II)<sup>21</sup> ეტაპზე. ცალკეულ შემთხვევებში იგი ასევე მოქმედებს და გავლენას ახდენს მხარეთა უფლება-მოვალეობებზე ხელშეკრულების შემდეგაც.<sup>13</sup>

მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ვალდებულებით სამართალს, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპია.<sup>14</sup> ეს პრინციპი ნაწარმოებია კერძო ავტონომიის დოგმატიდან და მისი სატელიტია ვალდებულებით სამართალში. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ დადონ ან არ დადონ ხელშეკრულება, კანონის ფარგლებში შეუზღუდავად განსაზღვრონ მისი ფორმა, შინაარსი და

---

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

<sup>10</sup> ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14, 58.

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის № ას-7-362-07 გადაწყვეტილება; ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14, 54 და მომდევნო გვერდები

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის № ას-7-362-07 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

<sup>13</sup> ეს ისეთი შემთხვევებია, როცა ვალდებულების ხასიათიდან ხელშეკრულების შედეგების მიმართ განგრძობითი ლოიალურობის ვალდებულება გამომდინარეობს ( culpa post contractum finitum ). მაგ. თუ საწარმოს გასხვისებასთან ერთად ხდება კლიენტთა პორტფელის გასხვისებაც, რაც ორივე მხარისათვის ცნობილია და ხელშეკრულების ერთ-ერთ საფუძველსაც წარმოადგენს, გამყიდველი ვალდებულია გარკვეული პერიოდის მანძილზე თავი შეიკავოს მყიდველის მიმართ კონკურენტული ქმედებებისაგან და არ მოახდინოს კლიენტურის გადაბირება. ასევე იხ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

<sup>14</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის № ას-839-890-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 19 სექტემბრის № ას-233-225-2013 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის N ას-579-545-2010 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება); ასევე იხ. თოდუა / ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 105.

სამართლებრივი შედეგები (319 I).<sup>15</sup> ამ თავისუფლებას კანონმდებელი მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში ზღუდავს (მაგ. 319 II, III). შეზღუდვები შესაძლოა სხვადასხვა მიზნისკენ იყოს მიმართული, იცავდეს მხარეებს აჩქარების (მაგ. სავალდებულო ფორმის მოთხოვნა) და დისკრიმინაციისაგან (319 II, 346348), ან საჯარო წესრიგისა და მორალის (54, 55) განმტკიცებას ემსახურებოდეს. ეს შეზღუდვები ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის სოციალურ და ზნეობრივ ჩარჩოში მოქცევას ისახავს მიზნად და მინიმალურად ზღუდავს მას.<sup>16</sup>

ვალდებულებითი სამართლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია ხელშეკრულებისადმი ერთგულების პრინციპი, რომელიც დოქტრინასა და პრაქტიკაში ლათინური პაროშიით - *pacta sunt servanda* - არის დამკვიდრებული.<sup>17</sup> ეს კონტინენტური პრინციპი ქართულ სამართალში გერმანული სამართლის გავლენით შემოვიდა. ვინც დებს ხელშეკრულებას, იბოჭება ამ ხელშეკრულებით, მაშინაც, კი თუ მას ხელშეკრულების მიმართ თავდაპირველი ინტერესი აღარ ამოძრავებს (სახელშეკრულებო თვითბოჭვა).<sup>18</sup> ეს წესი თანაბარწილად ვრცელდება როგორც მოვალეზე, ასევე კრედიტორზე. მოვალემ უნდა შეასრულოს ხელშეკრულება, ხოლო კრედიტორი უნდა დარჩეს ხელშეკრულებაში, თუ სახეზე არ არის კანონით დადგენილი წინაპირობები, რომელიც მას ამ „ტვირთისგან“ გაათავისუფლებდა.<sup>19</sup>

## 1.2 ვალდებულების შესრულება

სამოქალაქო კოდექსის სერიოზული თავისებურება ის არის, რომ იგი მთლიანად შესრულებაზეა ორიენტირებული. მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა მისი შეუსრულებლობისთვის.<sup>20</sup> ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია იმ

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 9 ნოემბრის № ას-382-691-05 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის № ას-839-890-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება; ასევე იხ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 93.

<sup>16</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 316, 2016 წ.

<sup>17</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის № ას-1434-1449-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის № ას-1434-1449-2011 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება); ასევე იხ. ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 45; ბეგიაშვილი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, N1(2), 2011, გვ. 9.

<sup>18</sup> ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 91.

<sup>19</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 316, 2016 წ. წ.

<sup>20</sup> ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, გვ. 4.

პირობების დაცვა, რაც ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს და, შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობას გამოიწვიოს.<sup>21</sup>

ვალდებულების ძალით, კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. თუ არ არსებობს ვალდებულება, მაშინ არც შესრულება იქნება სახეზე.<sup>22</sup>

ვალდებულების ჯეროვნად შესრულება ნიშნავს ვალდებულების შესრულებას კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, იმ გონიერი მოლოდინის ფარგლებში, რაც შესრულების მიმდებარე ადინიშნული ვალდებულების შესრულების მიმართ ჰქონდა.<sup>23</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო სამართლის უნივერსალური შეფასებითი კატეგორიაა.<sup>24</sup> თანამედროვე სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელია კეთილსინდისიერების პრინციპის აღიარება. ამ პრინციპით კონკრეტდება ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ფარგლები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან ან ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს.<sup>25</sup>

ვალდებულების დათქმულ დროს შესრულება კანონისმიერი პირობაა. ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება განსაზღვრული მომენტის დადგომა, როცა ვალდებულება უნდა შესრულდეს.<sup>26</sup> როგორც წესი, ვადა დადგენილია მოვალის ინტერესებისათვის.<sup>27</sup> აღნიშნული უფლების შეზღუდვა მხოლოდ კრედიტორის ლეგიტიმური ინტერესის არსებობის შემთხვევაშია დასაშვები.<sup>28</sup>

საერთაშორისო სამშენებლო პროექტებში (ზოგადად მშენებლობის პროექტებში) დრო არის მნიშვნელოვანი ფაქტორი: რაც იმას ნიშნავს, რომ კონტრაქტით განსაზღვრულ დროს ან ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში ერთი მხარის მიერ ვალდებულების შესრულება ისეთივე მნიშვნელოვანია

<sup>21</sup> მესხიშვილი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარი, მუხლი 361, 2016 წ.

<sup>22</sup> ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 361, გვ. 267.

<sup>23</sup> მესხიშვილი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარი, მუხლი 361, 2016 წ.

<sup>24</sup> კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 83.

<sup>25</sup> კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 83.

<sup>26</sup> ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, გვ. 47.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 60

<sup>28</sup> Fontaine, Content and Performace, The American Journal of Comarative Law, 1992, p. 652



როგორც მეორე მხარის მიერ შესრულება. შედეგად, მითითებულ დროს შეუსრულებლობა იქნება ხელშეკრულების მატერიალური დარღვევა.<sup>29</sup>

სამშენებლო ინდუსტრიაში, დასრულების თარიღი და გადახდის პირობები გადამწყვეტი სახელშეკრულებო პირობებია. აქედან გამომდინარე, როდესაც ხელშეკრულების მხარე არ დაასრულებს სამუშაოებს შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ან მესაკუთრე არ ასრულებს შეთანხმებული ვადით გადახდას, არსებობს რამდენიმე საშუალება და სახელშეკრულებო შედეგები, რომლებიც შეიძლება დაუცველ მხარეს მიეცეს კომპენსაციის სახით.<sup>30</sup>

ეს არის საერთო პრაქტიკა, რომ სამშენებლო ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, თუ რა კომპენსაცია უნდა იქნეს გადახდილი დამრღვევის მიერ, შეუსრულებლობის შემთხვევაში. როგორცაა : ა) მესაკუთრისთვის თანხის დროულად გადახდის დარღვევა დაუდევრობით; ბ) ხელშეკრულების მეორე მხარისთვის სამუშაოს შეუსრულებლობა პროექტის მიხედვით.<sup>31</sup>

ამ ტიპის პუნქტები შეიძლება ჩაითვალოს ლიკვიდირებულ ზიანად ან სახელშეკრულებო ჯარიმად. განსხვავება უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან საჯარიმო დარღვევები ზოგადად შეუძლებელია საერთო სამართლის იურისდიქციებში.<sup>32</sup>

ვალდებულების შესრულების ადგილი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, ვალდებულება ჯეროვნად შესრულდა თუ არა, ასევე ადგილი ხომ არ ჰქონდა მოვალის მხრიდან შესრულების ვადაგადაცილებას, ან კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის დარღვევას.<sup>33</sup>

ხელშეკრულების შესრულების ადგილის განსაზღვრის კრიტერიუმი ვალდებულების შესრულების საგანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულების ადგილის დადგენა დამოკიდებულია იმაზე, შესრულების საგანი ინდივიდუალური საგანია (381), თუ გვარეობით განსაზღვრული ნივთი (382).<sup>34</sup>

საერთო წესი ისაა, რომ ხელშეკრულებაზე მოქმედებს იმ ადგილის წესები, რომელიც ხელშეკრულების განხორციელების ადგილია. (გეითსი ბიჭემის წინააღმდეგ, 49 Conn., 275; Appeal of Huey, 1 Grant Cas., 51; U. S. v. Garlinghouse,

<sup>29</sup> Cutugno, Liquidated Damages vs. Contractual Penalty, 2016

<sup>30</sup> Cutugno, Liquidated Damages vs. Contractual Penalty, 2016

<sup>31</sup> Cutugno, Liquidated Damages vs. Contractual Penalty, 2016

<sup>32</sup> Cutugno, Liquidated Damages vs. Contractual Penalty, 2016

<sup>33</sup> MüKo/ Krüger , BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 1.

<sup>34</sup> მესხიშვილი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარი, მუხლი 361, 2016 წ.

Fed. Cas., No. 15,189; 4 Ben., 194; Story's Conflict of Laws, sec. 103) . ხელშეკრულების ნამდვილობის პირობად ჩაითვლება იმ ადგილის კანონი, რომელიც ხელშეკრულების დადების ადგილად ითვლება ( Scudder v. Union Nat. Bank, 91 U. S., 406; Baxter Nat. Bank v. Talbot, 154 Mass., 213; Union Nat. Bank v. Chapman, 169 N. Y., 538). მაგრამ, თუ განზრახვა არის ის, რომ შესრულება უნდა მოხდეს სხვა შტატში ან ქვეყანაში ვიდრე ხელშეკრულების დადების ადგილია, ვალდებულებები და შედეგი განისაზღვრება შესრულების ადგილით (Butler v. Myer, 17 Ind., 77; Pittsburg, Cincinnati, Chicago and Louis R. R. Co. v. Sheppard, 56 Ohio, 68, Contra). მაშინაც კი, როდესაც ხელშეკრულება იდება სხვა ადგილას შესრულების მიზნით, იგი გულისხმობს, რომ ხელშეკრულების მოცულობა რეგულირდება იმ ადგილის კანონით, სადაც დაიდო იგი (Campbell v. Crampton, 2 Fed., 417. In England, the rule is that "the personal capacity to enter into any contract is to be decided by the domicile"; Guefratte v. Young, 4 DeG. & Sen., 217). მაგრამ, ამერიკაში, ინგლისური წესით განხილულ იქნა რამდენიმე საქმე; მაშინ დადების და შესრულების ადგილი ერთი და იგივე იყო (Matthews v. Murchison, 17 Fed., 760; Augusta Ins. & Banking Co. v. Morton, 3 La. Ann., 417.).<sup>35</sup>

### 1.3 ვალდებულების დარღვევა

ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოხატულებას პოვებს მოვალეზე კანონით დადგენილი ქონებრივი ზემოქმედების ზომებში. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებული პირის წინაშე. სამოქალაქო ბრუნვაში სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ვალდებულების დარღვევას აუცილებლად მოჰყვება ურთიერთობის სხვა მონაწილეთა უფლებების დარღვევა. ამიტომაც, ქონებრივი სანქცია, რომელიც გამოიყენება ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველთვის მიზნად ისახავს დაზარალებულის დარღვეული უფლების აღდგენას ან კომპენსაციას („იმ პირობა, რომელიც ვალდებულია, ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. “სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ მოხდება ზიანის კომპენსირება ფულით (სკ-ის 409-ე მუხლი). ამრიგად, სამოქალაქო პასუხისმგებლობას ყველა შემთხვევაში შემხებლობა აქვს სამოქალაქო კანონმდებლობის ძირითად ინსტიტუტთან - საკუთრებასთან. რომლის, საურავის, პროცენტის გადახდას ან,

<sup>35</sup> The Yale Law Journal, Vol. 20, No. 2 (Dec., 1910), pp. 153-154

ზოგადად, ზიანის ანაზღაურებას შედეგად მოჰყვება მესაკუთრის ქონების შემცირება.<sup>36</sup>

თემის შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს, როგორც მხარეთა მიერ წინასწარ განსაზღვრულ თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების დარღვევის ან მისი არაჯეროვანი შესრულებისთვის, წერილობითი შეთანხმება სჭირდება (418 II). აღნიშნულიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ზიანის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ვინაიდან მასზე წინასწარი წერილობითი ფორმით შეთანხმების მოთხოვნა თავისთავად გამორიცხავს ხელშეკრულების არსებობის გარეშე პირგასამტეხლოს დაკისრების შესაძლებლობას.<sup>37</sup>

## 2. ხელშეკრულების თავისუფლების არსი

ქართული სამართლებრივი სისტემისათვის დაახასიათებელია კერძო ავტონომიის პრინციპი. აღნიშნული პრინციპი ხელშეკრულების ორივე მხარეს ანიჭებს უფლებას თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების პირობები კანონით დაწესებული თავისუფლებების ფარგლებში. ხშირად ეს ფარგლები ზედმეტად თავისუფალიც კი აღმოჩნდება ხოლმე, ზოგჯერ „უკონტროლოც“ კი.

კერძო ავტონომია კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. თითოეული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა სწორედ აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ კერძო სამართლის ცალკეულ დარგებში არსებული ურთიერთობის დროს, კერძო ავტონომიის რეალიზება ასეთი უფლების უმთავრეს სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს. ასე მაგალითად, საკუთრების უფლების რეალიზაციის შემთხვევა, როდესაც მესაკუთრეს თავად გააჩნია უფლებამოსილება, განსაზღვროს კონკრეტულ ობიექტზე ქცევის შესაბამისი წესი, სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით თავისუფლების რეალიზაციის შესაძლებლობა და სხვ.<sup>38</sup>

<sup>36</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1--11-ka-50--20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL1.3&d=HASH01458542903da826029504b6.2.4>

<sup>37</sup> პლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წ., გვ. 656

<sup>38</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016 წ., გვ. 44.

კერძო ავტონომია ხელშეკრულების მონაწილე მხარეებზე სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი უფლებამოსილების დელეგირების მაგალითად შეიძლება იქნეს აღქმული. სახელმწიფო ხელშეკრულების ხელშემკვრელ პირებს მათთვის სასურველი პირობის სამართლებრივად განსაზღვრის უფლებას ანიჭებს. სწორედ ამის გამოა ევროპულ კერძო სამართალში კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლების პრაქტიკული გამოყენება სამართლიანი (არამოჩვენებითი) კონკურენციის წინაპირობად აღქმული. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ კერძო ავტონომიის სამართლებრივი ფორმირება, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულების თავისუფლებაში ხორციელდება. ის ხელშეკრულების დადების უმთავრესი საფუძველია და სახელშეკრულებო ურთიერთობებზე გავლენას პირდაპირ ახდენს.<sup>39</sup>

არჩევანის თავისუფლება ასევე გულისხმობს პირის ექსკლუზიურ უფლებას, თავისუფლად აირჩიოს მომავალი პარტნიორი. შესაბამისად, როცა ხელშეკრულება წარმოადგენს ბრუნვაში მონაწილე პირების ეკონომიკური თანასწორობის, ურთიერთშერჩევისა და თავისუფალი შეთანხმების შედეგს, არც სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის დარღვევის საშიშროება არსებობს. ამასთან, არჩევანის თავისუფლება საეჭვოა მაშინ, როცა ერთი მხარის გადაწყვეტილება დამოკიდებულია მეორეზე, ან როცა ასეთი გადაწყვეტილება სარგებლის მომტანია ხელშეკრულების მხოლოდ ერთი - ძირითადად პირობების შემთავაზებელი მხარისათვის. შესაბამისად, არათანაბარი საბაზრო ძალაუფლების პირობებში ხელშეკრულების თავისუფლება ეჭვქვეშ დგება.<sup>40</sup>

საგულისხმოა, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი ვლინდება არა მხოლოდ მხარეთა გადაწყვეტილებაში ხელშეკრულების დადება-არდადების შესახებ, არამედ იმაშიც, თუ როგორი ფორმით, რა შინაარსით და ვადით სურთ მისი დადება. ამდენად, მხარეებს ენიჭებათ უფლება, თვითონ განსაზღვრონ დასადები ხელშეკრულების შინაარსი და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა არსებითი საკითხი. შესაბამისად, „ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს ასევე ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობასაც“.<sup>41</sup>

აქვე მოვიყვან სამოქალაქო კოდექსიდან შემდეგ ჩანაწერს, რომლის თანახმადაც, განსაზღვრულია ხელშეკრულების თავისუფლება, ხელშეკრულების დადების ვალდებულება:

<sup>39</sup> იქვე, გვ.44-45

<sup>40</sup> ლაკერბაია თ, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016 წ., გვ.19

<sup>41</sup> იქვე, გვ.19

1. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.

2. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაჰენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები.

3. იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.<sup>42</sup>

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში. სახელმწიფოს ვალდებულება, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის განვითარებას (30-ე მუხლი), წარმოუდგენელია მხარეთათვის თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფის გარეშე. ეკონომიკური წინსვლა და პროგრესი სწორედ ისეთ გარემოშია მიღწევადი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ინდივიდებს დადონ მათთვის მომგებიანი და სასარგებლო გარიგებები. ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლება გამართლებულია როგორც ინდივიდთა ავტონომიის, ისე საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, თუმცა რომელი ინტერესიც არ უნდა ჭარბობდეს, აუცილებელია ხელშეკრულება იყოს ნამდვილი, არ ეწინააღმდეგებოდეს მართლწესრიგს.<sup>43</sup> ხელშეკრულების თავისუფლებას აქვს რამდენიმე სახის გამოვლინება: ხელშეკრულების დადების თავისუფლება, რომელიც მოიცავს კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლებასაც და ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას, რაც გულისხმობს მხარეებისათვის სასურველი ხელშეკრულების ტიპის არჩევას, მათ შორის კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულების და შერეული ხელშეკრულების დადებასაც. ხელშეკრულების

<sup>42</sup> გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 319, 2016 წ.

<sup>43</sup> Zweigert/Kötz, An Introduction to Comparative Law, Third Edition, 1998, p. 327

თავისუფლებაში მოიაზრება ფორმის არჩევის თავისუფლებაც, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ურთიერთობათა გამარტივებას და მოქნილობას.<sup>44</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატიის ძირითად სათქმელთან შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება.

კანონი დეტალურად ვერ მოაწესრიგებს ყველა ხელშეკრულების შინაარს, მას შეუძლია დაადგინოს თავისუფლების ფარგლები და არა თავისუფლების გამოვლენის ყველა დეტალი, ამიტომ შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება ანიჭებს მხარეებს შესაძლებლობას, საკუთარი ინტერესის შესაბამისად განსაზღვრონ უფლება- მოვალეობები, კერძოდ, აირჩიონ სასურველი ხელშეკრულების ტიპი და მისი პირობები. ამასთან, მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ კოდექსით გათვალისწინებული დისპოზიციური ნორმისგან განსხვავებულ შინაარსზეც, მაგალითად, სხვაგვარად მოაწესრიგონ ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკის გადასვლის საკითხი. ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთობის მოწესრიგება სხვაგვარად პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით (მაგალითად, 479-ე მუხლით უძრავი ნივთის გამყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებულან).<sup>45</sup>

მართალია, სამოქალაქო კოდექსი მოიცავს თითქმის ყველა გავრცელებული ტიპის 8 ხელშეკრულებას, თუმცა ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. კანონით აუკრძალავი მოქმედების განხორციელების უფლება (მე-10 II მუხლი) კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულების დადებასაც გულისხმობს. 319-ე I მუხლით განმტკიცებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მხარეებს ანიჭებს უფლებას კანონის ფარგლებში დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული სამოქალაქო კოდექსში. საკუთარი ნებისა და ინტერესების მიხედვით ინდივიდებს შეუძლიათ განსაზღვრონ იმგვარი სახელშეკრულებო პირობები, რომელთა ანალოგს სამოქალაქო სამართალი არ იცნობს. ეს ე.წ. არატიპიური ხელშეკრულებებია, რომლებიც თავიანთი შინაარსით არ მიეკუთვნებიან კონკრეტული ხელშეკრულების ტიპს, თუმცა თუ შეთანხმება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, იგი წარმოშობს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას. საბაზრო

<sup>44</sup> გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 319, 2016 წ. გვ. 2.

<sup>45</sup> გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 319, 2016 წ. გვ. 3

ეკონომიკის განვითარების პირობებში სწორედ ამგვარად წარმოიშვა ფრენშიაინგის, ლიზინგისა და სხვა ხელშეკრულებები.<sup>46</sup>

## 2.1 ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა

სამოქალაქო სამართალი ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების აღიარებით უზრუნველყოფს პირის უფლებას საკუთარი ინტერესის შესაბამისად მიაღწიოს დასახულ მიზანს, თუმცა ეს თავისუფლება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, იგი არსებობს დადგენილი წესრიგის ფარგლებში. შეუზღუდავმა თავისუფლებამ შეიძლება გამოიწვიოს მხარეთა თვითნებობა. მხარემ, რომელსაც მეტი ეკონომიკური რესურსი აქვს, შეიძლება აიძულოს მომავალი კონტრაქტი, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისას პასიური როლი შეასრულოს და მხოლოდ შეთავაზებულ სახელშეკრულებო პირობებს დათანხმდეს, ამით კი შემთავაზებელი სახელშეკრულებო უპირატესობას მოიპოვებს, რაც არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს მეორე მხარეს.<sup>47</sup>

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ეს სახელშეკრულებო თავისუფლება არ იყოს აბსოლუტური. არცერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს თვითნებობისა და ზედმეტი თავისუფლების შეგრძნება, რათა ავირიდოთ მეორე მხარის „ჩაგვრის“ შესაძლებლობა. გარდა ამისა, ხელშეკრულები თავისუფლების შეზღუდვა იმ კუთხითაცაა მნიშვნელოვანი, რომ რომ საზოგადოებას გააჩნდეს სამართლებრივი თანასწორობის შგრძნება, ნდობა თავად სამართლის მიმართ და არ ჰქონდეს შიში იმისა, რომ მისი უფლებები იქნება დარღვეული. ეს ყველაფერი კი პირდაპირ კავშირშია დემოკრატიასა და ანტიდისკრიმინაციასთან.

მხარეთა ინტერესების დაბალანსების უზრუნველსაყოფად, სახელშეკრულებო უსამართლობის თავიდან ასაცილებლად კოდექსი მხარეებს არ აძლევს თვითნებობის უფლებას, ამიტომ მხარეთა თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, რაც თანასწორობის დამყარებას ემსახურება. სხვა შემთხვევაში, თუ თავისუფლება ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი (ყველასათვის თანასწორი) არ იქნება, მისი არსი გაუფასურდება. სწორედ თანაბარი უფლებების არსებობა მიანიშნებს სახელშეკრულებო სამართლიანობაზე (იგულისხმება ფორმალური, არა ფაქტობრივი თანასწორობა) და ამ თანაფარდობის დარღვევა კი პირიქით, ყოველთვის ბადებს გარიგების

<sup>46</sup> გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 319, 2016 წ., გვ. 3-4.

<sup>47</sup> ჩაჩანიძე, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, სამართლის ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2010 წ., გვ. 26.

მონაწილეებზე სხვადასხვაგვარი ზეგავლენის, შეცდომაში შეყვანის ან სხვაგვარი ზემოქმედების ვარაუდს. სახელშეკრულებო სამართლიანობა არის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის თანმდევი პრინციპი, რომელიც არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კონტრაქტები თანაბარი უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ.<sup>48</sup>

საგულისხმოა, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი ვლინდება არა მხოლოდ მხარეთა გადაწყვეტილებაში ხელშეკრულების დადება-არდადების შესახებ, არამედ იმაშიც, თუ როგორი ფორმით, რა შინაარსით და ვადით სურთ მისი დადება. ამდენად, მხარეებს ენიჭებათ უფლება, ტვითონ განსაზღვრონ დასადები ხელშეკრულების შინაარსი და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა არსებითი საკითხი. შესაბამისად, „ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს ასევე ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობასაც“.<sup>49</sup>

ამასთან, კერძო ავტონომიის პრინციპით რეგლამენტირებული ინდივიდუალური თავისუფლება, რომელიც ხელშეკრულების თავისუფლების ძირითად საუძველს წარმოადგენს, პირობითია. ერთი პირის ეგოისტური ნება, დამოუკიდებლად, ვერ უზრუნველყოფს თანასწორობას მის სურვილსა და არსებითი სამართლიანობის ცნებას შორის. შესაბამისი ბალანსი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მეორე მხარისაგან თავისუფალი თანხმობის მიღების შემთხვევაში. ანუ მაშინ, როცა ხელშეკრულების შინაარსში აისახება მეორე მხარის სათანადო ინტერესებიც. თუ მხარეები მოახერხებენ თავიანთ ანტაგონისტურ პოზიციებზე შეთანხმებას, მათ ინტერესებს შორის მიღწეული ბალანსი მისაღებად ჩაითვლება მართლწესრიგისათვის. თუ მხარეები დამარცხდებიან თავიანთ მცდელობაში, ხელშეკრულებას ვერ ექნება პრეტენზია სამართლიანობაზე.<sup>50</sup>

თავისუფლება იმის კეთების უფლებაა, რაც დასაშვებია კანონით. კანონით დასაშვები თავისუფლების ფარგლები, კაცობრიობასთან ერთად იცვლება და ვითარდება. თავისუფლება ყოველთვის ძირითადი კანონიდან გამომდინარეობს, თუმცა აღნიშნული ისე უნდა იქნეს გაგებული, თითქოს პირს შეუძლია საკუთარი ნების თავისუფლად განხორციელება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მაგალითად, მეწარმეობის თავისუფლების ნორმიდან გამომდინარე,

<sup>48</sup> გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 319, 2016 წ., გვ.10

<sup>49</sup> ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016 წ., გვ.19

<sup>50</sup> Zimmermann R., *The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives*, Oxford University Press, 2005, 206.



მეწარმეს არ შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც მას მოესურვება, თუ ის კანონთან შესაბამისი არ იქნება სამეწარმეო ურთიერთობას სახელმწიფო მნიშვნელობა გააჩნია, უპირატესად, ეკონომიკური საკითხების თვალსაზრისით. ეს კი იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გამომდინარეობდეს საზოგადოებრივი (სახელმწიფო) ინტერესიდან, რაც მოქმედი კანონმდებლობის აბსოლუტუს დაცვაში იქნება გამოხატული.<sup>51</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლება სამართლით უნდა იზღუდებოდეს და იგი მხოლოდ კანონით დადგენილი წესრიგით ფარგლებში უნდა არსებობდეს. კანონმდებლის გონიერება სწორედ მაშინ ვლინდება, როდესაც იგი ჩარევის ფარგლებს მართებულად განსაზღვრავს. თანამედროვე ეპოქის განვითარებასთან ერთად ვითარდება თავისუფლების ფარგლები, თუმცა ამ ფარგლების პარალელურად იზრდება მისი შეზღუდვის არეალიც. სამართლის მიზანსაც სწორედ ეს ფაქტი უნდა წარმოადგენდეს, რათა ფეხი აუწყოს თანამედროვე წყობას, რომლის განხორციელება გზასაც თავისუფლების დღევანდელი არეალის მოწესრიგება წარმოადგენს.<sup>52</sup>

### 3. მომხმარებელი, როგორც ხელშეკრულების „სუსტი“ მხარე

ხელშეკრულებაში სუსტი მხარის დაცვის ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ რომის სამართლის ითვალისწინებდა სესხისათვის მაქსიმალური პროცენტის დადგენას მოვალის ინტერესების შეუსაბამო ხელყოფისაგან დასაცავად. შუა საუკუნეებზე კომერციულ ცხოვრებაში სომინირება მევახშეობის აკრძალვის წესები. დიდი კოდიფიკაციების ეპოქაში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შემქმნელებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ასევე ეკონომიკურად სუსტი მხარის დაცვაზე. უშუალოდ კოდექსში საკითხისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ ასახვა ჰპოვა სხვადასხვა ნორმებში, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. „ზოგადი დათქმები“ (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე, 226-ე, 242-ე და 826-ე მუხლები).<sup>53</sup>

<sup>51</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016 წ. გვ. 65.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 65-66

<sup>53</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 166.

მოვალე მხარეს, რომელიც ისედაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, კიდევ უფრო მეტად უმძიმდება მდგომარეობა მაშინ, როცა მისი უფლებები არაა შესაბამისად დაცული. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი ისეთი საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც ორივე მხარის უფლებებს თანაბრად იცავს და მოვალეობებიც შესაბამისად ეკისრებათ.

როგორც წესი, ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი მხარეთა უფლება-მოვალეობები უნდა განიმარტოს თითოეული მათგანის კერძო ავტონომიის ფარგლებში. თუმცა, ისეთ შემთხვევებში, როცა ერთ-ერთი მხარე ფლობს აშკარა უპირატესობას მეორესთან მიმართებაში, სუსტი მხარის ინტერესები პრიორიტეტული ხდება და განსაკუთრებული დაცვის ქვეშ ექცევა. მაგრამ აქაც მნიშვნელოვანია მხარეების ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის შენარჩუნება. ერთის მხრივ, ხელშეკრულების ორივე მხარე - სუსტიც და ძლიერიც დაცვის ერთნაირ სტანდარტში ექცევა, თუმცა, განსხვავებულია მათი სტატუსი ამ ურთიერთობებში. კერძოდ, უთანასწორო ურთიერთობებში ხელშეკრულების ერთი მხარე სრული მოცულობით სარგებლობს სახელშეკრულებო თავისუფლების დანაწესებით და სახელშეკრულებო პირობებს მისთვის სასურველ შინაარსს აძლევს. მეორე მხარე კი, რომელსაც ერთი შეხედვით კანონით მინიჭებული ისეთივე უფლებები გააჩნია, ვერ ახორციელებს თავის სახელშეკრულებო თავისუფლება სრული მოცულობით და, შესაბამისად, იზღუდება მისი კერძო ავტონომიის ფარგლებიც. სწორედ მაშინ, როცა ხელშეკრულების პირობები ერთ-ერთ მხარეს მძიმე ტვირთად აწევს იგი სპეციალური დაცვის ქვეშ ექცევა.<sup>54</sup>

საკანონმდებლო რეგლამენტების პარალელურად ხელშეკრულების „სუსტი“ მხარის ინტერესების დაცვის უპირატესობა სასამართლო პრაქტიკამაც განავითარა. ამ თვალსაზრისით აქტიურობა გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში შეიმჩნევა სასამართლო სისტემის ყველა რგოლში. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან აღსანიშნავია პრეცედენტული გადაწყვეტილება - *Burge Case*,<sup>55</sup> სადაც სასამართლომ პირის თვითგამორკვევის

<sup>54</sup> ლაკერზაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016 წ., გვ.21

<sup>55</sup> საქმე ეხებოდა თავდებობის ხელშეკრულებას, რომლითაც, ერთმა ოჯახის წევრმა იკისრა თავდებობა მეორეს მიმართ ისე, რომ არ გააჩნდა არანაირი შემოსავალი ვალის გასასტუმრებლად. ხელშეკრულების მეორე მხარეს ბანკი წარმოადგენდა, რომლის წარმომადგენელსაც არ განუმარტავს მხარისთვის არც თავდებობის შინაარსი და არც მისი შსაძლო შედეგები. როცა მოვალემ ვერ შეძლო აღებული სესხის დაფარვა, ბანკმა მოინდომა უზრუნველყოფის შეთანხმების აღსრულება და წარმატებით აღწევდა კიდევ შედეგს ფედერალურ სასამართლოში საქმის განხილვამდე. თავმდების ინიციატივით, საქმე განსახილვევად გადაეცა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც იმსჯელა ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ.

უფლების დარღვევას „მრუდე თანასწორობა“ უწოდა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად დაამკვიდრა მკაცრი საკანონმდებლო კონტროლის აუცილებლობა ხელშეკრულების პირობებზე და მათ სამართლიანობაზე. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია დაიცვას მხარის კონსტიტუციური უფლება კერძო ავტონომიაზე და, ამასთან, იხელმძღვანელოს სოციალური სახელმწიფოს პრინციპითაც. სახელშეკრულებო პირობების შინაარსის კონტროლი სასამართლოს ვალდებულებასაც წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელშეკრულებო დათქმები მძიმე თვირთად აწვება ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს.<sup>56</sup>

#### 4. პირგასამტეხლო, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება

ხელშეკრულების დადებისას ივარაუდება, რომ ორივე მხარე თანაბარ პირობებშია, თუმცა ხელშეკრულებითვე გათვალისწინებული პირგასამტეხლო ხშირად შეუსაბამოდ მაღალია. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს კერძო ავტონომია, რომელიც ორივე მხარეს ანიჭებს უფლებას ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრონ ხელშეკრულების პირობები, რიგ შემთხვევებში ერთ-ერთ მხარეს უთანასწორო მდგომარეობაში კი აყენებს. მხარე, რომელიც რაიმე ვალდებულებას იღებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე და დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობასაც კისრულობს, ხშირ შემთხვევებში „გარიგების მსხვერპლად“ უფრო იქცევა ხოლმე.

---

სასამართლომ თავმდებობის ხელშეკრულება ბათილად ცნო და განმარტა, რომ ბანკმა უკანონოდ გამოიყენა მისი საბაზრო ძალაუფლება, რაც მხარეთა შორის „სტრუქტურულ საბაზრო უთანასწორობაში“ გამოიხატა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო შეთანხმება და მისი გადაწყვეტის პირობები ფუნდამენტურ წინააღმდეგობაშია კონსტიტუციურად დაცულ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან. სასამართლომ ყურადღებ გამახვილა ხელშეკრულების პირობების უთანასწორობასა და მათ უსამართლობაზე მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მიმართ. სასამართლომ ასევე გამოიყენა ტერმინი ხელშეკრულების „მრუდე თანასწორობა“. ამ გადაწყვეტილებით განისაზღვრა მხარეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევა პირის თვითგამორკვევის უფლების თვასაზრისით. შეად. *Cherednychenko O.O., The Constitutionalization of Contract Law: Something New Under the Sun?, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 8.1 (March 2004), <<http://www.ejcl.org/81/art81-3.PDF>>, [14.04.2013].*

<sup>56</sup> ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016 წ., გვ.22

პირგასამტეხლოზე შეთანხმება ნების არანაკლებ ორმხრივი გამოვლენის შედეგს წარმოადგენს.<sup>57</sup>

განსხვავებით არაერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის სამართლებრივი მოწესრიგებისგან, ქართული სამართლის სისტემის მიხედვით, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებების განშტოებას არ წარმოადგენენ.<sup>58</sup>

ისინი ვალდებულების შესრულების მიზნით, მხარისთვის დამატებითი მოქმედების განხორციელების (მაგალითად, სანქციის) მოთხოვნის შესაძლებლობას განსაზღვრავენ. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების გამოყენება დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობაზე (შესაბამისად, თითოეული მათგანის ამოქმედებაც ძირითად ვალდებულებაზეა დამოკიდებული<sup>59</sup>).

პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია.<sup>60/61</sup> მაგალითად, პირგასამტეხლოსა და მოვალის გარანტიისგან განსხვავებით, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბეს გამოყენება არ ხდება.<sup>62</sup> ამასთან, მოვალის გარანტიის არსი კრედიტორისთვის ისეთი უფლების მინიჭებას ითვალისწინებს, რომელიც ამ უკანასკნელს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე არ გააჩნია,<sup>63</sup> რაც მას ბესა და პირგასამტეხლოსგან განასხვავებს. თავის მხრივ, პირგასამტეხლოს არსს, დარღვეული ვალდებულების შემთხვევაში შესაბამისი სანქციის დაკისრება წარმოადგენს. განსხვავებით ბესა და მოვალის გარანტიისგან, სასამართლოს პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის შემთხვევაში შეუძლია, ჩაერთოს მხარეთა სახელშეკრულებო ავტონომიაში (420).<sup>64</sup>

ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლი მიაკუთვნებს პირგასამტეხლოს, ბეს და მოვალის

<sup>57</sup> იხ. *Looschelders*, *Schuldrecht, Allgemeiner Teil*, 15. Auflage, S. 288-289;

<sup>58</sup> იხ. *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გვ. 234, ასევე, *Chanturia* in *Kniper/Chanturia/Schramm*, *Das Privatrecht im Kaukasus un in Zentralasien, Bestandsaufnahme und Entwicklung*, BMV, Berliner Wissenschafts-Verlag GmbH, Berlin, 2010, S. 359 ff.

<sup>59</sup> იხ. მაგალითად, *თოდუა/ვილომსი*, ვალდებულებითი სამართალი, გვ. 19.

<sup>60</sup> დეტალური ნიშან-თვისებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შესაბამის კომენტარში.

<sup>61</sup> მაგალითად, ფორმის თავისუფლების შეზღუდვის კრილში. იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 19 ოქტომბერი 2010, №ას-379-352-2010.

<sup>62</sup> *მესხიშვილი*, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, 2014, გვ. 21.

<sup>63</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 617.

<sup>64</sup> შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინებით. იხ. 420-ე მუხლის კომენტარი.

გარანტიას. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი იძლევა პირგასამტეხლოს ცნების დეფინიციას, რაც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: **პირგასამტეხლო - მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა - მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.**<sup>65</sup> ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს წარმოშობის ნამდვილობისათვის, უმთავრეს წინაპირობას პირგასამტეხლოს თაობაზე მხარეთა შეთანხმება წარმოადგენს. იმისათვის, რომ პირგასამტეხლო შეთანხმებულად ჩაითვალოს, საკმარისი არ არის ერთ-ერთი მხარის მიერ პირგასამტეხლოს დაპირება. აუცილებელია, მხარეები ხელშეკრულებაში შეთანხმდნენ თავად პირგასამტეხლოს, ასევე მის ოდენობასა და წარმოშობის წინაპირობებზე.<sup>66</sup>

პირგასამტეხლოს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების, გამოყენების წინაპირობაა ვალდებულების შეუსრულებლობა ან ვალდებულების დარღვევა. პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ. „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ეკვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება.<sup>67</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობისას პირგასამტეხლოს გააჩნია პრევენციული ხასიათი და მიყენებული ზიანის სწრაფად და მარტივად აღმოფხვრის ფუნქცია. შესაბამისად, პირგასამტეხლოს განსაზღვრის მიზანს მხარის გამდიდრება არ უნდა წარმოადგენდეს, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს იმ ფაქტორს, რომ ხელშეკრულების შედგენისას თანასწორობის პრინციპის დაცვა მისი უმთავრესი სამართლებრივი წინაპირობაა. <sup>68</sup>

პირგასამტეხლოს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს. იგი, ერთი მხრივ, მოვალის (კონტრაქტის) წახალისების საშუალებაა,<sup>69</sup> რათა მან ნაკისრი

<sup>65</sup> ჭეჭელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 417, 2016 წ.

<sup>66</sup> ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2014წ. გვ.589-590.

<sup>67</sup> [http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo\\_k.meskhishvili.pdf](http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf)

<sup>68</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017 წ., გვ. 282

<sup>69</sup> კონტრაქტი შეიძლება იყოს სპეციალური ურთიერთობის მონაწილე პირი. ამ მხრივ, სპეციალური ურთიერთობის მონაწილე მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას, პირგასამტეხლოს ფუნქციის გამოყენებით შეჯერდნენ შესაბამის პირობებზე. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს შრომითი ურთიერთობა. იხ. *Klumpp* in *AGB-Arbeitsrecht, Kommentar, Clemenz/Kreft/Krause* (Hrsg.), §307, Rn. 259.

ვალდებულებები ჯეროვნად,<sup>70</sup> ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად<sup>71</sup> (პრევენციული ფუნქცია<sup>72</sup>) შეასრულოს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ფუნქცია, კონტრაქტის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი სანქციის დაკისრებაში გამოიხატება, რათა ამით მიყენებული ზიანი სწრაფად ანაზღაურდეს<sup>73</sup> (რესტიტუციული ფუნქცია,<sup>74</sup> რომელიც არ უნდა ატარებდეს სიმბოლურ ხასიათს<sup>75</sup>).<sup>76</sup>

პირგასამტეხლოს როლი ხელშეკრულების დადებისას მართლაც მნიშვნელოვანია. იგი ერთგვარ ბერკეტს წარმოადგენს ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორივე მხარისთვის ხელშეკრულების დადებიდანვე ცნობილი პირგასამტეხლოს რაოდენობა და დასაწყისშივე ეთანხმება მას, თუმცა ნაშრომის მიზანი სწორედ ამ რაოდენობის რეგულირებაზე მსჯელობაა და იმის აუცილებლობა, რომ ცვლილება ამ კუთხით გრდაუვალია.

პირგასამტეხლოს რაოდენობის განსაზღვრა ხელშეკრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია, თუმცა მისი რაოდენობა ხელშეკრულების ფარგლებს სცილდება და ხშირად სასამართლოში განხილვის საგანი ხდება, უმრავლეს შემთხვევაში კი მისი უსამართლოდ მაღალი რაოდენობის გამო. ეს კი იმის შედეგია, რომ კანონით არაა დადგენილი პირგასამტეხლოს ფიქსირებული რაოდენობა, რაც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე კერძო კომპანიებს აძლევს საშუალებას თვითნებურად დაუწესონ მეორე მხარეს ზედმეტად მაღალი პირგასამტეხლო. მომხმარებელს, როგორც ხელშეკრულების სუსტ მხარეს, არ აქვს შესაძლებლობა პირგასამტეხლოს განსაზღვრაში მიიღოს მონაწილეობა. მას მხოლოდ შეუძლია თანხმობა განაცხადოს შემოთავაზებულ პირობებზე, ხშირად გაუცნობიერებელიც კია ეს თანხმობა.

ამის მაგალითია ონლაინ სესხების მიერ დადგენილი სტანდარტული ხელშეკრულებები. ერთ-ერთი ხელშეკრულების პირველი მუხლი განსაზღვრავს პირგასამტეხლოს შემდეგნაირად: კ) პირგასამტეხლო – მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, რომელიც გამოიყენება მსესხებლის

<sup>70</sup> იხ. მაგალითად, სამშენებლო საქმიანობის განხორციელების ჭრილში: *Looschelders, Schuldrecht, Allgemeiner Teil, 15. Auflage, S. 288.*

<sup>71</sup> *Fikentscher/Heinemann, Schuldrecht, AT und BT, 11. Auflage, S. 101.*

<sup>72</sup> თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით. იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 28 დეკემბერი 2012, №ას-1560-1463-2012 — აღწერილობითი ნაწილი.

<sup>73</sup> სუს გადაწყვეტილება, 7 ოქტომბერი 2015, №ას-459-438-2015.

<sup>74</sup> *Köhler, Vertragsstrafe und Schadenersatz, GRUR, Heft 4, Verlag C.H. Beck, München, 1994, S. 261.*

<sup>75</sup> სუს გადაწყვეტილება, 23 მაისი 2017, №ას-1031-992-2016.

<sup>76</sup> იხ.ჯორბენაძე/გაწერელია, სამოქალაქო კოდექსის 417-420-ე მუხლების კომენტარი.

მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და გადაიხდება მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. მსესხებელი აცნობიერებს, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის გადახდის მიზნებისათვის, შესაძლებელია საჭირო გახდეს დარიცხული თანხის კორექტირება დამრგვალებით. დამრგვალება განხორციელდება სტანდარტული მათემატიკური პრინციპით, 0,5 მეათედამდე, რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას<sup>77</sup>

პირგასამტეხლოს ფუნქცია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა. იგი კრედიტორის მხრიდან ვალდებულების შესრულების მიზნით მოვალეზე „ზეწოლის“ განხორციელების ერთგვარი ბერკეტია, ამასთან, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს მიღების მიზნით, კრედიტორი ზიანის მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლებულია. ბრიტანულ სამართალში განასხვავებენ პირგასამტეხლოს ორ სახეს: Promised damages as liquidated damages or as a penalty. პირველ შემთხვევაში პირგასამტეხლო წინასწარ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით. მხარეები თანხმდებიან შესრულების ვადის დარღვევისას თუ რამდენი უნდა გადაუხადონ დაზარალებულ მხარეს. ხშირად განსაზღვრული თანხა არ შეესაბამება რეალურ ზიანს და მხარე ვერ იღებს დანაკლისს. Penalty (ჯარიმა) დაზარალებულ მხარეს აძლევს საშუალებას მიიღოს რეალური, ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. როცა განსაზღვრულ ჯარიმას არ შეუძლია სრულიად დააკმაყოფილოს მოსარჩელე, მას აქვს არჩევანი: ა) მას შეუძლია სადაო გახადოს ხელშეკრულების პუნქტი ჯარიმის შესახებ, იმ საქმეში სადაც მას არ შეუძლია განსაზღვრულ ანაზღაურებაზე მეტის მიღება; ან ბ) მას შეუძლია გაასაჩივროს ხელშეკრულების დარღვევა და მიიღოს ზიანის ანაზღაურება სრულად.<sup>78</sup>

ქართული სამართალი საჯარიმო პირგასამტეხლოს არ იცნობს, მაგრამ პრობლემას სწორედ ის წარმოადგენს, რომ ხშირად თავისუფლად განსაზღვრული პირგასამტეხლო ჯარიმის სახეს იღებს და უსამართლო პირობებში აყენებს მხარეს. საამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობთ შეგვიძლია დავადგინოთ თუ როგორ განისაზღვრება პირგასამტეხლო და რა როლი აქვს სასამართლოს მის შემცირებაში.

ანაზღაურებადი ზიანი ან შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმა - FLORENCE WAGON WORKS V. SALMON, 68 SE, 866 (GA.) – ხელშეკრულების ორივე ან ერთი მხარის მიერ ხელშეკრულები დარღვევისას განსაზღვრული

<sup>77</sup> <https://www.vivus.ge/rogor-avigo/xelshekruleba/>

<sup>78</sup> Law for business studies students. Keith Owens. "Cavendish Publishing Limited" 1995 year. p:286-287.

დაკისრებული ჯარიმა; მაგრამ როდესაც მხარეების მიერ გამოწვეულია წინასწარი ლიკვიდაცია და იღებენ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც რეალურად შენარჩუნდება დარღვევის შემთხვევაში, იგი დააკმაყოფილებს და აღასრულებს (თუ არაა აზრს მოკლებული ან რეპრესიული), განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ზიანი არ შეიძლება განისაზღვროს ზოგიერთი სამართლებრივი სტანდარტის ან ზიანის ზომით.<sup>79</sup>

მიუხედავად იმისა, რომ პირგასამტეხლოს გადახდა შესრულების ადგილს ვერ დაიკავებს,<sup>80</sup> იგი შესაძლოა, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების წახალისების ერთგვარ ინსტრუმენტად იქნეს მიჩნეული.<sup>81</sup> კერძოდ, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოვალეს წინასწარ ექმნება წარმოდგენა,<sup>82</sup> შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე<sup>83</sup> (პასუხისმგებლობის ფარგლების წინასწარ შემოსაზღვრა<sup>84</sup>), რაც ამ უკანასკნელისთვის ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტის მატარებელი გახდება.<sup>85</sup>

ხელშეკრულების დარღვევისთვის ზიანის სახით გადახდილი თანხების ოდენობა უნდა განიხილებოდეს როგორც ლიკვიდირებული ზიანის ანაზღაურება, ან მხოლოდ როგორც ჯარიმა, რომელიც დამოკიდებულია მხარეებისთვის მნიშვნელოვან და განზრახულ ხელშეკრულების შედეგიანობაზე, პირობებში გამოხატული მიზანი და ხელშეკრულების საგნის თავისებური გარემოებები. *Hosmer v. True*, 19 Barb. (N. Y.), 106; *Marsh v. Allabaugh*, 103 Pa. St., 335; ასევე, განსაზღვრავს თუ ხელშეკრულებით რა თანხა დასახელებული, საჯარიმო ან ლიკვიდირებული ზიანის სახით, სასამართლოები დიდ გავლენას ახდენენ გარიგების მიზანშეწონილობით და არ იქნებიან შეზღუდულები შეთანხმების ფორმით ან მხარეთა მიერ დადგენილი პირობებით, ან თუნდაც მათი მანიფესტური განზრახვით, რომელიც უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს სწორი და გონივრულია. *Davis v. U. S.*, 17 Ct. Ct., 201. დადგინდა, რომ სიტყვა "ჯარიმა" ან "ლიკვიდირებული ზიანი", დასახელებული სახელწოდებებით არაა

<sup>79</sup> The Yale Law Journal, Vol. 20, No. 2 (Dec., 1910), pp. 153-154

<sup>80</sup> *Schuhmann*, *Terminsicherung im Anlagenbau: Vertragsstrafe oder pauschalierter Schadenersatz?* ZfBR, Heft 9, Verlag C.H. Beck, München, 2009, S. 311.

<sup>81</sup> თავის მხრივ, ეს ინსტრუმენტი კრედიტორის ხელშიც პოვებს ანალოგიურ გამოყენებას. იხ. მაგალითად, *Tamm* in *Vertragsrecht Kommentar*, Tonner/Willingmann/Tamm (Hrsg.), §339, Rn. 2.

<sup>82</sup> იხ. *Greiner*, *Die „Auftragssumme“ bei Vereinbarung einer Vertragsstrafe*, ZfBR, Heft 2, Verlag C.H. Beck, München, 1999, S. 63.

<sup>83</sup> *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 417, გვ. 488.

<sup>84</sup> *Cloppenburger, Mahnken*, *Haftungsbeschränkungen im Anlagenbau und AGB-Recht*, NZBau, Heft 12, Verlag C.H. Beck München, 2014, S. 750.

<sup>85</sup> ჯორბენაძე/გაწერელია, სამოქალაქო კოდექსის 417-420-ე მუხლების კომენტარი.



გადამწყვეტი. *Miller v. Elliott*, 1 Ind., 484; *Davies v. Freeman*, 10 Mich., 188. ეს არის ტენდენცია და კანონის უპირატესობა, თუმცა უნდა გადაიხადოს გადასახდელი თანხა, თუ ხელშეკრულება არ შესრულდება, როგორც ჯარიმა და არა ლიკვიდირებული ზიანის სახით. *Wallis v. Carpenter*, 13 Allen (Mass.), 19; *Whitfield v. Levy*, 35 N. J. L., 149. და სადაც ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურება არის იმ რამდენიმე შეთანხმებასთან პროპორციულად დაკავშირებული, ზოგიერთ შემთხვევაში ზედმეტად უხეშადაც და ზოგან - რსულიად არაადეკვატურადაც, ისინი გაითვალისწინება საჯარიმოდ და არა ლიკვიდირებულად. *Clement v. Cash*, 21 N. Y., 253; *Watts v. Sheppard*, 2 Ala., 425. მაგრამ თუ ხელშეკრულების ხასიათიდან ზიანის ანაზღაურება შეუძლებელია რაიმე მნიშვნელობის გამოკლებით, გათვალისწინებულ თანხას დაიკავებს ლიკვიდირებული ზიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება ჯარიმა. *Lynde v. Thompson*, 2 Allen (Mass.), 456.<sup>86</sup>

ძირითადი ხელშეკრულების პირობებს ენიჭება უპირატესობა ზოგიერთი სადავო საკითხის გადაჭრისას. მაგალითად, შესრულების ადგილის განსაზღვრისას.<sup>87</sup>

## 5. პირგასამტეხლოს განსაზღვრა და მისი სამართლებრივი შედეგი

პირგასამტეხლოს განსაზღვრის თავისუფლება, ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინებაა. სამოქალაქო სამართალში ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევა პრეზუმირებული, რაც იმთავითვე გულისხმობს იმის ვარაუდს, რომ ისინი თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ (სსკ-ის 8.3 მუხლი). „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონის იმპერატიული ნორმები“ (სსკ-ის 10-ე მუხლის მესამე ნაწილი). შესაბამისად, მხარეთა უფლება თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი, აბსოლუტური არ არის. სახელშეკრულებო დებულებების განსაზღვრის დროს ისინი ვალდებული არიან გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული.

ხელშეკრულების თავისუფლება აქცესორული უფლებების შემთხვევაშიც ვლინდება. პირგასამტეხლოს განსაზღვრისას მხარეთა თავისუფლება შემოიფარგლება მხოლოდ იმ ნაწილში, რაშიც გონივრული ოდენობის დადგენაა

<sup>86</sup> The Yale Law Journal, Vol. 20, No. 2 (Dec., 1910), pp. 153-154

<sup>87</sup> *Janoschek*, Beck'scher Online-Kommentar BGB, §339, Rn. 3.

შესაძლებელი.<sup>88</sup> სწორედ ამ საკითხზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა ზნეობის ნორმებს ეწინააღმდეგება: ამ კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ეკონომიკურად უფრო ძლიერი მხარეა და უდავოა, რომ სწორედ მის მიერ იქნა განსაზღვრული სესხის სარგებელი - ყოველთვიური 6%. მართალია, ამ შეთავაზებას მოპასუხე დაეთანხმა, მაგრამ ამით სამართლებრივი სურათი არ იცვლება, რადგანაც კასატორი მოქმედებდა სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ქცევის წესის საწინააღმდეგოდ: „თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე“.

ამ შემთხვევაში, შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და კასატორი (სარგებლის მიმღები) მოქმედებდა ცალსახად არაკეთილსინდისიერად: მის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი რისკები და მან ბოროტად გამოიყენა საბაზრო ძალაუფლება. ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა.<sup>89</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპი აუცილებელია ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელების ფარგლების შესაზღვრად. (სსკ-ს მე-8 მუხლი მე-3 ნაწილი). კეთილსინდისიერების პრინციპი იცავს ბრუნვის მონაწილეთა ინტერესებს და აბალანსებს მათ და ასევე ზღუდავს უფლებათა მავნებლურ, გაუმართლებელ გამოყენებას. (სსკ-ს 115-ე მუხლი) "კეთილსინდისიერების დათქმის შემაკავებელი ფუნქციის ასამუშავებლად აუცილებელი არ არის, რომ პირი ბოროტი განზრახვით მოქმედებდეს. საკმარისია ინტერესთა აშკარა დისბალანსის არსებობა."<sup>90</sup> პირგასამტეხლო, თავისი არსით, მთლიანად დამოკიდებულია ძირითად ხელშეკრულებაზე<sup>91</sup> (და, შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე<sup>92</sup>).

<sup>88</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სმოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017 წ, გვ. 286.

<sup>89</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება.ას-663-629-2015. 2015 წლის 28 ივლისი.

<sup>90</sup> ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბილისი, 2016წ, გვ. 116.

<sup>91</sup> *ჰანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გვ. 236.

<sup>92</sup> იხ. *Schulze in Schulze u.a. Bürgerliches Gesetzbuch*, 9. Auflage, §339, Rn. 11.

მხოლოდ ძირითადი უფლების ნამდვილობის შემთხვევაშია შესაძლებელი პირგასამტეხლოს მოთხოვნა.<sup>93</sup> პირგასამტეხლოს აქცესორული ხასიათიდან გამომდინარე, ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა (მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება, ასევე, ფორმის დაუცველი გარიგება<sup>94</sup>) პირგასამტეხლოს ბათილობასაც იწვევს.<sup>95</sup> თუმცა, პირიქით, როდესაც პირგასამტეხლო ეწინააღმდეგება დადგენილ წესებს (პრინციპებს),<sup>96</sup> ან პირგასამტეხლოს თაობაზე ცალკე შეთანხმება ბათილადაა ცნობილი, ეს ავტომატურად მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას არ გამოიწვევს.<sup>97</sup> ძირითადი ხელშეკრულების პირობებს ენიჭება უპირატესობა ზოგიერთი სადავო საკითხის გადაჭრისას. მაგალითად, შესრულების ადგილის განსაზღვრისას.<sup>98</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობებში მომხმარებელი არის დაუცველი მხარე, სადაც ხელშეკრულების შემთავაზებელი მეწარმე სუბიექტი ბოროტად იყენებს თავის უპირატეს მდგომარეობას. ასეთ შემთხვევებში სსამართლოს როლი დიდია, რათა დაიცვას კონტრაქტი ხელშეკრულების გაუმართლებელი პირობების შესრულების შედეგებისგან. სასამართლოს შეუძლია ბათილად ცნოს ასეთი პირობა და მხარეს ააცილოს მისი შესრულების ვალდებულება. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს რომ: "კეთილსინდისიერების პრინციპი ხარეებს აკისრებს სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებას. თუ ადგილი აქვს უფლების იმდაგვარ გამოყენებას, რომ მხარეთა ინტერესების ურთიერთგათვალისწინების ვალდებულება(მოთხოვნა) ირღვევა, უფლების ასეთი გამოყენება ბოროტ განზრახვად უნდა დაკვალიფიცირდეს."<sup>99</sup>

პოლონეთის სამოქალაქო კოდექსის 483-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ჯარიმები წარმოდგენილია როგორც "მოკრძალებული" ინსტრუმენტი, რათა დაიცვას მხარის ინტერესები კონტრაქტში. იგი ითვალისწინებს, რომ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შედეგად წარმოშობილი ზარალის კომპენსაციას გარკვეული თანხის გადახდის გზით. ეს თანხა მოხსენიებულია როგორც "სახელშეკრულებო ჯარიმა" (შეესაბამება

<sup>93</sup> იხ. მაგალითად, სუს გადაწყვეტილება, 26 იანვარი 2012, №ბს-1611-1585(კ-11).

<sup>94</sup> იხ. მაგალითად, *Prasse/Steinbach-Martens* in BGB Kommentiertes Vertrags- und Prozessformularbuch, Schulze/Grizwotz/Lauda (Hrsg.), 3. Auflage, §339, Rn. 8.

<sup>95</sup> იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 418, გვ. 492.

<sup>96</sup> იხ. *MüKo/Gottwald*, BGB, 7. Auflage, 2016, § 339, Rn. 10.

<sup>97</sup> *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 417, გვ. 389.

<sup>98</sup> *Janoschek*, Beck'scher Online-Kommentar BGB, §339, Rn. 3.

<sup>99</sup> იქვე, გვ. 117.

"ლიკვიდაციური ზიანის" საერთო-სამართლებრივ ცნებას) და საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ბრალეულად არღვევს სახელშეკრულებო ვალდებულებას.<sup>100</sup>

სამოქალაქო სამართალში გადაიდგა ნაბიჯი და დაიწყო პოლონეთის უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 6 ნოემბრის საქმის სარეზოლუციო ნაწილით საქმეში III CZP 61/03 (OSNC 5/2004 პუნქტი 69), რომელშიც თანმიმდევრულად ჩაიწერა, რომ სახელშეკრულებო ჯარიმა უნდა იყოს გადახდილი, თუნდაც ის დადასტურდეს, რომ მეორე მხარემ არ განიცადა რაიმე დანაკარგი (თუმცა ამავე დასკვნაში ნათქვამია, რომ დანაკარგის არარსებობამ შეიძლება შეამციროს ფაქტორი, რომელიც საშუალებას იძლევა ჯარიმის შემცირებისას).<sup>101</sup>

პოლონეთში მსხვილი საჯარო პროექტები, როგორებიცაა გზების, სარკინიგზო ხაზების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ჩვეულებრივ ხორციელდება სახელშეკრულებო ჯარიმის ვრცელი კატალოგის შემცველი კონტრაქტების საფუძველზე. ისინი ხშირად მაღალ დონეზე დგანან (როგორც PLN 10,000 დარღვევა დღეში) და გათვალისწინებულ შემთხვევებში, განსაზღვრულია "ვადის გაშვებით", "სამუშაოს შესრულების გადადებით" ან "უშედეგოდ დასრულება". ხელშემკვრელი ორგანოები ცდილობენ კონტრაქტორის პასუხისმგებლობას ამ კონტინერის კონტროლიც კი შექმნან.<sup>102</sup>

## 5.1 შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, როგორც მოვალის „დასჯის“ მექანიზმი

პირგასამტეხლოზე შეთანხმებისას, მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე. ანუ მხარეები თანხმდებიან იმ მინიმალური ზიანის ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დადგეს ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით. პირგასამტეხლოს არსებობა ათავისუფლებს კრედიტორს დამდგარი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთისგან, როდესაც ზიანი დამდგარია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა, სამართლიანობის სტანდარტს სცილდება, სასამართლო უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, ამის შესაძლებლობას იძლევა სამოქალაქო კოდექსის 420-ე

<sup>100</sup> Mirella, Contractual penalties: Theory and reality, 2016.

<sup>101</sup> Mirella, Contractual penalties: Theory and reality, 2016.

<sup>102</sup> Mirella, Contractual penalties: Theory and reality, 2016.

მუხლი. იგივე მიდგომა უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსით 403-ე მუხლში განსაზღვრული პროცენტის ოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ თუ შეუსაბამოდ მაღალია პროცენტის ოდენობა, სამოქალაქო კოდექსის 325-ე და 54-ე მუხლებიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს სკ-ის 403-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული პროცენტის ოდენობა.<sup>103</sup>

პირგასამტეხლოს მიზანია მხარის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება, შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა, მაგალითად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი. კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მხარეებს, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა დაადგინონ იმ ფარგლებში, რომელიც არ სცდება ამ ინსტიტუტის დანიშნულებას და უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად შეუსაბამოდ მძიმე ტვირთს არ აკისრებს ხელშეკრულების მხარეს.<sup>104</sup>

ევროპულ სამართალში არსებობს ზელშეკრულების დარღვევისთვის ზიანის ანაზღაურების განსაკუთრებული სახე punitive damages (ე.წ. სადამსჯელო ზიანი), რომელიც როგორც თავად ტერმინი გულისხმობს ჯარიმის ხასიათისაა. იგი შეიძლება ადაემატოს ჩვეულებრივ ზიანს, იმ დანაკარგის ასანაზღაურებლად, რომელიც დაზარალებულს მიადგა მეორე მხარის არასწორი ქმედების შედეგად. მისი მიზანი არის სამაგალითოდ დაისაჯოს სამართალდამრღვევი და აქვს პრევენციული დანიშნულება. ასევე მისი მიზანია დაიცვას ხელშეკრულების სუსტი მხარე მეწარმის ზემოქმედებისგან, რომელიც უმეტესად ძლიერ მხარეს წარმოადგენს. ის განსხვავდება საკომპენსაციო ზიანისგან (compensatory damages), რომლითაც მხოლოდ ზუსტად მიყენებული ზიანის ანაზღაურება შეიძლება<sup>105</sup>.

ჯარიმის ოდენობა ასევე შეიძლება იყოს სადავო. ხელშეკრულების თავისუფლებით აღჭურვილი მხარეები, რომლებიც არ იქნებიან წინააღმდეგნი, სავარაუდოდ დათანხმდებიან საკონტრაქტო ჯარიმის ოდენობას, რომელიც შეესაბამება დანაკარგის მოსალოდნელ თანხას, რომელიც ავალდებულებს მხარეებს ხელშეკრულების კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში. მაგრამ პრაქტიკაში საჯარიმო თანხების რაოდენობა თვითნებურად არის განსაზღვრული, რაციონალური კავშირი ფაქტობრივი დანაკარგის გარეშე. ეს ასევე იმიტომ, რომ სახელმწიფო შესყიდვის სფეროში, ხელშემკვრელ მხარეს

<sup>103</sup> <https://blh.com.ge/forums/Topic>

<sup>104</sup> <http://www.procurement.gov.ge/News/recomendacia-pirgasamtexlo.aspx>

<sup>105</sup> <http://legal-dictionary.thefreedictionary.com/punitive+damages>

აქვს ძლიერი პოზიცია და შეუძლიათ დააწესონ ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებში შედის.<sup>106</sup>

ეროვნული სააპელაციო პალატის ხედვა :

ხელშემკვრელი ორგანოების მიერ საკონტრაქტო მოქმედებების ჯეროვნად გადანაწილება ეფუძნება ეროვნული სააპელაციო პალატის (KIO) საქმეს. მისი განკარგულების უპირატესი პოზიცია ისაა, რომ საკონტრაქტო ორგანოს აქვს დისკრეტია სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაში, მათ შორის, ხელშეკრულების, შესყიდვის საგნის, მისი ტიპების, სპეციფიკაციების, მოქმედების, შესრულების პირობების და სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ. მაგრამ პალატის თანახმად, ეს არ ზღუდავს ხელშეკრულების თავისუფლებას, რადგან ხელშეკრულების მხარეებს არ მოსწონთ ეს დებულებები.<sup>107</sup>

ეს არის სრულიად მიუღებელი მიდგომა. პირველ რიგში, საზოგადოებრივი ტენდერების პირობები უნდა იყოს ისეთი, რომ მათ ხელი შეუწყონ, და პირიქით, არ დაუკარგონ, შეთავაზების წარდგენის სურვილი. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში სამართლებრივი უზრუნველყოფის შესახებ კანონით დადგენილი წესით, არ უნდა წარმოადგინოს ის პოზიცია, რომელიც შეზღუდავს პოტენციური პრეტენდენტების რაოდენობას, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების კონცეფციას. მიზანია, რომ ხელი შეუწყოს ხელშემკვრელ ორგანოს, მაქსიმალურად მიიღოს საუკეთესო არჩევანი ფართო სპექტრის სათანადოდ შეტანილი სატენდერო წინადადებებისგან. მეორე, ბევრმა საწარმომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი საქონელი და მომსახურება მხოლოდ საზოგადოებრივი ტენდერების საშუალებით, რადგან, როგორც წესი, სხვა კლიენტებს არ გააჩნიათ იგი. ყოველივე ამის შემდეგ, არ არსებობს მატარებლების, ტრამვაებისა და მუნიციპალური ავტობუსების კერძო შემსყიდველები - უბრალოდ სატრანსპორტო ინდუსტრიით. საჩივარი, რომ საწარმოს, რომელიც არ ეთანხმება არახელსაყრელ კონტრაქტს, შეიძლება გამოიყურებოდეს სხვა ტენდერში ანტიკონკურენტულად და კვლავ ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების ვარაუდს.<sup>108</sup>

ქართულ სამართალში გვაქვს პირგასამტეხლოს ორი სახე (სსკ-418) ჯარიმა და საურავი. პირველი შემთხვევისგან განსხვავებით კრედიტორს შეუძლია, საურავის შემთხვევაში, ერთდროულად მოითხოვოს ვალდებულების შესრულება და პირგასამტეხლოს გადახდაც. ორივე შემთხვევაში კი შეუძლია

<sup>106</sup> Mirella, Contractual penalties: Theory and reality, 2016.

<sup>107</sup> Mirella, Contractual penalties: Theory and reality, 2016.

<sup>108</sup> Mirella, Contractual penalties: Theory and reality, 2016.

მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.<sup>109</sup> კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ორივე მათგანი, მაგრამ პირგასამტეხლო შევა ზიანის საერთო ოდენობაში და არ გამოიყოფა ცალკე ნაწილად, რაც მეტისმეტად დამამძიმებელი იქნებოდა მოვალისათვის.<sup>110</sup>

ამ საკითხს ეხება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (N-3კ-422-03): *“დაუშვებელია, ერთდროულად მოვალისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსა და გადახდის ვადის გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტის გადახდევინება, რამეთუ, როგორც პირგასამტეხლო, ისე გადახდის ვადის გადაცილებისათვის კანონით გათვალისწინებული პროცენტი წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების თანხას და არ შეიძლება ერთისა და იმავე და რღვევისათვის მოვალეს დაეკისროს გადახდა გაორმაგებული სტანდარტით, მით უმეტეს მაშინ, როცა სკს 403ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, ვადის გადაცილების გამო კანონით გათვალისწინებული პროცენტი მოვალეს დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი სხვასაფუძვლიდან გამომდინარე, მას უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.”*

სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას მოსარჩელის მხრიდან მოთხოვნილი პირგასამტეხლო, რომლის თვითური ოდენობა 150%(5x30)-ს შეადგენს შეუსაბამოდ მიიჩნია და ჩათვალა რომ სამოქალაქო უფლების არამართლზომიერ განხორციელებაზე მიუთითებდა. პალატის მტკიცებით ასეთ პირობებში პირგასამტეხლოს დანიშნულება, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის პრევენციის მეთოდი, კარგავს ამგვარ დანიშნულებას და იქცევა მოვალის დასჯის ერთ-ერთ მექანიზმად, რაც დაუშვებელია.<sup>111</sup>

აქედან გამომდინარე, იგი არა თუ იცავს ხელშეკრულების სუსტ მხარეს, არამედ მას ხშირად მძიმე პირობებში აყენებს. ასეთ შემთხვევაში აქვს სასამართლოს მათი დაცვის ბერკეტები და განვითარებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით ახორციელებს ამ ფუნქციას. ამას ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მიერ 2012 წლის პირველ ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ შეუსაბამოდ მიიჩნია კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა. მოთხოვნილი პირგასამტეხლო ბევრად აღემატებოდა მოვალის გადასახდელ ძირითად თანხას (323 332ლარი და პირგასამტეხლო- 523 188,02) , ამიტომ სასამართლომ შეამცირა და 5000 ლარის გადახდა დააკისრა მოვალეს. ამასთანავე სააპელაციო სასამართლომ განმარტა,

<sup>109</sup> ჭეჭელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 417, 2016 წ.

<sup>110</sup> <https://geolaw.wordpress.com/2011/05/26>.

<sup>111</sup> ჭეჭელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 420, 2016 წ.

რომ პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება, შესაბამისად პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. პირგასამტეხლოს არსებითად ორი ფუნქცია აქვს: ვიდრე ვალდებულება უნდა ირღვეოდეს, იგი ემსახურება მისი შესრულების სტიმულირებას. მოვალემ წინასწარვე იცის, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იგი ვერ აცდება გარკვეული საზღაურის გადახდევინებას, მაშინ როცა სხვა დროს, შეიძლება მას ამის „იმედი“ ჰქონდეს.

მთავარი მაინც ის არის, რომ პირგასამტეხლო ესაა ზიანის ანაზღაურების საშუალება, იმ ზიანისა, რომელიც შეიძლება განიცადოს კრედიტორმა. კრედიტორი პირგასამტეხლოს დაწესებით ვალდებულების დარღვევის შემთხვევისათვის იადვილებს და დაზღვეულს ხდის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. პირგასამტეხლოს დაწესებით კრედიტორის გარანტიები გაზრდილია. პირგასამტეხლო მოვალეს უპირობოდ ეკისრება, სულერთია, ვალდებულების დარღვევით კრედიტორმა ზიანი განიცადა თუ არა. ვალდებულების დარღვევის ფაქტი საკმარისი მტკიცებულებაა საამისოდ, მაშინ როცა ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი საჭიროებს იმის მტკიცებულებას, კრედიტორმა ნამდვილად განიცადა თუ არა ზიანი, თუ განიცადა, მაშინ რა ოდენობით. პირგასამტეხლოს მიზანს არ წარმოადგენს კრედიტორის გამდიდრება, მისი ოდენობა ადეკვატური უნდა იყოს შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობისა. აღნიშნულის მიუხედავად შესაძლებელია მხარეები იმ ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ, რისი გადახდევინებაც შემდგომ მძიმე ტვირთად დააწვეს მოვალეს. ამიტომაც განსაზღვრავს კანონი სასამართლოს უფლებამოსილებას სამართლიანად შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.<sup>112</sup>

### **5.1.1 პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლები და სასამართლოს როლი მოვალის ინტერესების დაცვის კუთხით**

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მუხლის ნორმის მიზანია მოვალის ინტერესების დაცვა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების დადგენით.

<sup>112</sup> სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 01 ნოემბრის №2ბ/3027-12 გადაწყვეტილება



ზოგჯერ, მხარეები ხელშეკრულების დადებისას ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს დიდ ყურადღებას არ უთმობენ. მოლაპარაკების დროს ძირითადი ძალისხმევა ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მიღწევას ხმარდება (ფასი, საგანი და ა.შ), არსებითი პირობების შეთანხმების შემდეგ ხელშეკრულების ისეთ პუნქტებს, როგორცაა შეთანხმება პირგასამტეხლოს ოდენობაზე, დიდ ყურადღებას არ აქცევენ. ყოველივე ამის გამო, შეიძლება მოვალეს პირგასამტეხლო ძალზედ მძიმე ტვირთად დააწვეს. ასევე, შესაძლებელია, ეკონომიკურად სუსტმა მოვალემ პირგასამტეხლოს შეთანხმებისას საკუთარი შესაძლებლობები ძალზედ ოპტიმალურად შეაფასოს, რისკები ვერ გათვალისწინა და პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი და გადასახდელად რთული აღმოჩნდეს. გარდა ამისა, შესაძლოა, პირგასამტეხლო უკვე თვითონ ვალდებულების შესრულების პროცესში იქცეს ასეთად. კანონმდებლისთვის აღნიშნული საფრთხეები კარგად იყო ცნობილი, ამიტომ პირგასამტეხლოს მომწესრიგებელ ნორმებში გაითვალისწინა ნორმა, რომელიც უპირატესად მოვალის ინტერესების დაცვას ემსახურება.<sup>113</sup>

„სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.<sup>114</sup> (სუსგ Nას-1560-1463-2012).

ხელშეკრულებით მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს ოდენობაზე, მაგრამ აღნიშნული სასამართლოს არ ზღუდავს, დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტისათვის გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით გათვალისწინებული ე.წ. „სასამართლო შესაგებელი“ და მხარეთა შეთანხმების მიუხედავად, თავად შეაფასოს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, კონკრეტულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობისა და დაკისრების მიზანშეწონილობა.

<sup>113</sup> ჭეჭელაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 420, 2016 წ.

<sup>114</sup> უზენაესი სასამართლოს 2012 წლის Nას-1560-1463-2012 გადაწყვეტილება

უზენაესი სასამართლოს განმარტებით პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის:

ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები;

ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს;

გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს;

დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება<sup>115</sup>.

სასამართლო პრაქტიკაში ძალიან ხშირია პირგასამტეხლოს თანხის **10-ჯერ შემცირების შემთხვევები**. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში თბილისის სააპელაციო სასამართლომ, იმავე საკითხზე, აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ იმას თუ როგორია შერულების ღირებულები, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.<sup>116</sup>

ლიკვიდირებული ზიანი:

საერთო სამართლის იურისდიქციებში, "ლიკვიდირებული ზიანი" განსაზღვრება ჭეშმარიტი დანაკარგების გონივრული შეფასებით: მეორე მხარის მიერ დაზიანებული მხარე ვალდებულია მიიღოს წინასწარ განსაზღვრული ზიანის ანაზღაურება.<sup>117</sup>

ლიკვიდირებულ ზიანს სრულად ანაზღაურებს ხელშემკვრელი მხარე დანაკარგებისგან. ამდენად, მათ უნდა მოიცვან სუბიექტური დანაკარგები. თუმცა ლიკვიდირებული ზიანის ანაზღაურება ვერ მოხდება, თუ ისინი

<sup>115</sup> უზენაესი სასამართლოს 2013 წლის №ას-501-477-2013 გადაწყვეტილება

<sup>116</sup> ჭეჭელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 420, 2016 წ.

<sup>117</sup> Cutugno, Liquidated Damages vs. Contractual Penalty, 2016

შედგენილია ისეთი შინაარსით, რომელიც სავარაუდოდ სადამსჯელო ხასიათისაა, ვიდრე კომპენსაციური. ეს არის: თანხა უნდა შეესაბამებოდეს რეალურ ან პოტენციურ ზიანს (გონივრული შეფასების შედეგს).<sup>118</sup>

წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ სასამართლოებმა ლიკვიდირებულ ზიანი ჩათვალონ სასჯელის სახედ (და შესაბამისად, ეს არაეფექტურია).<sup>119</sup>

სამოქალაქო სამართლის სისტემები, როგორც წესი, მიიღებენ და აღასრულებენ როგორც ლიკვიდაციურ ზიანს, ასევე საჯარიმო დარღვევებს, თუმცა თუ ჯარიმის რაოდენობა არაგონივრულად მაღალია, სასამართლოებს ზოგადად აქვს უფლება შეხედულებისამებრ შეამცირონ სამართლიანი თანხად. იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1384-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს ეკისრება ჯარიმის შემცირება, თუ თანხა "აშკარად გადაჭარბებულია"; საფრანგეთში, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს შეუძლია შეამციროს ან გაიზარდოს შეთანხმებული სასჯელი, თუ ეს აშკარად ზედმეტი ან მნიშვნელოვნად დაბალია.<sup>120</sup>

#### პრაქტიკული რჩევები:

სახელშეკრულებო ჯარიმის გამოყენების პირობებში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პოტენციური (ფინანსური) ზემოქმედების სიმძიმე. მაგალითად, საწარმოო მიწოდების ურთიერთობებისადმი მიყენებული ჯარიმების შემთხვევაში, გადამწყვეტი შეკითხვა, როგორც წესი, იქნება ის, თუ რა ზიანს მიაყენებს მოსალოდნელ შედეგი მხარეს. ამ შემთხვევებში დაზიანებები რეგულარულად უფრო დიდია და სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, ვიდრე მცირე მოცულობით ან დაგვიანებული მიწოდების შემდეგ, რაც მომხმარებელს შეუძლია შეინარჩუნოს დამკვეთის სათავსოში შენახული საქონლით. მომხმარებელი რჩება შესაძლებლობა, რომ მოხდეს სახელშეკრულებო ჯარიმის ოდენობის უმნიშვნელო დეფინიცია, ან ინდივიდუალური სიმძიმის მიხედვით სხვადასხვა ჯარიმების გამოყენება. მომხმარებელს შესაძლოა გაუჩნდეს განცდა, რომ კანონი არასწორია. ე.წ. "ნეიერ ჰამბურგერ ბრაუჩეს" მიხედვით შემუშავებული პუნქტი უზრუნველყოფს უსაფრთხო ალტერნატივას. აქ მომხმარებელი იტოვებს უფლებას, განსაზღვროს გონივრული სახელშეკრულებო ჯარიმა ამ ინდივიდუალურ შემთხვევაში.

<sup>118</sup> Cutugno, Liquidated Damages vs. Contractual Penalty, 2016

<sup>119</sup> Cutugno, Liquidated Damages vs. Contractual Penalty, 2016

<sup>120</sup> Cutugno, Liquidated Damages vs. Contractual Penalty, 2016

ამავდროულად, სახელშეკრულებო პარტნიორს აქვს შესაძლებლობა, განიხილოს სასამართლოში შესაბამისი ჯარიმა.<sup>121</sup>

გამომდინარე ყველაფერი ზემოთაღნიშნულიდან, სასამართლოს როლი პირგასამტეხლოს შემცირებისას მართლაც უმნიშვნელოვანესია. აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული როგორც კერძო ავტონომიის პრინციპის რღვევა, პირიქით, მხარეთა თანასწორობაზე დამყარებული სასამართლო პრაქტიკის განვითარების ერთ-ერთი გზაა.

### 5.1.2 პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება

შესაძლებელია, ვალდებულების დარღვევის მიუხედავად, კრედიტორის მიერ პირგასამტეხლოს მოთხოვნა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე გამოირიცხოს. კერძოდ, მაშინ, როდესაც მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა თვითონ კრედიტორის პროვოცირებულია, ან პირგასამტეხლოს მოთხოვნის საფუძველი - ხელშეკრულების დარღვევა, კრედიტორის არაკეთილსინდისიერი ქმედებით არის გამოწვეული, ეს დასკვნა 98-ე მუხლის II ნაწილიდან გამომდინარეობს.<sup>122</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით მრავლად არის სასამართლო პრაქტიკა:

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის \_ ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის - საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. განსახილველ შემთხვევაში მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე - ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ლ. მ-ის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა

<sup>121</sup> Effectiveness of contractual penalties in Standard General Terms and Conditions, 2017, <https://www.reuschlaw.de/en/news/effectiveness-of-contractual-penalties-in-standard-general-terms-and-conditions/>

<sup>122</sup> ჭეჭელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 420, 2016 წ.

მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე - საურავი - კონტრაქტის 7.3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის - 13152 ლარის 30% - 3945.6 ლარი, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმაა და შეუსაბამოდ მაღალია მოსა ლოდნელი ზიანის მიმართ.<sup>123</sup> ამ საფუძვლებზე დაყრდნობით უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა და ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე გათავისუფლდა დამატებით პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან.

პირგასამტეხლოს დაკისრებისგან გათავისუფლებისას იმ შემთხვევაში, როდესაც იკვეთება კრედიტორის ბრალი ხელშეკრულების შეუსრულებლობაში, სასამართლოს როლი უდიდესია. მიუხედავად იმისა, თუ რა რაოდენობის პირგასამტეხლო იყო ხელშეკრულებაში მითითებული, თუ მოვალე კეთილსინდისიერი მხარეა ხელშეკრულებისა, მის უფლებებს თავად სასამართლო იცავს.

კრედიტორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა მას ავტომატურად უკარგავს პირგასამტეხლოს თაობაზე მოთხოვნის დაყენების უფლებას.<sup>124</sup> გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს შემთხვევა, როდესაც მხარეები სხვა წესზე შეთანხმდნენ.<sup>125</sup> პირგასამტეხლოს მოთხოვნის კუთხით, ყურადსაღებია ვალდებულების დარღვევის, ასევე, მოვალის ბრალეულობის საკითხი.<sup>126</sup>

სასამართლო არ ამცირებს პირგასამტეხლოს ოდენობას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>127</sup> ასეთ დროს, მოსარჩელე მხარის მოთხოვნა (პროცესუალური ნორმების გათვალისწინებით) სრულად კმაყოფილდება.<sup>128</sup>

და ბოლოს, რაც შეეხება ხანდაზმულობას, მოთხოვნის ვადა გადის ძირითადი მოთხოვნის (ვალდებულების) ხანდაზმულობასთან ერთად (145).<sup>129</sup>

<sup>123</sup> უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 20 დეკემბრის #ბს-690-684(2კ-11) განჩინება.

<sup>124</sup> შეად. BGH, Urteil vom 24.11.1989 – V ZR 16/88.

<sup>125</sup> Janoschek, Beck'scher Online-Kommentar BGB, §339, Rn. 3.

<sup>126</sup> ჯორბნაძე/გაწერელია, სჯ-ის 417-420-ე მუხლების კომენტარი

<sup>127</sup> სეხნიაშვილი, პირგასამტეხლოს ანაზღაურების ფარგლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, გვ. 38.

<sup>128</sup> იხ. სუს განჩინება, 20 ივლისი 2018, №ას-956-2018, აღწერილობითი ნაწილი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

<sup>129</sup> Stadler in Jauerling, Bürgerliches Gesetzbuch, 17. Auflage, §339, Rn. 23.

## 6. სასამართლოს პრაქტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გადაწყვეტილება 20.12.2011, აქტის ნომერი: <sup>1</sup>ბს-1868-1821(2კ-10)

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება; ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და სანივთე ქონების დავალიანების ანაზღაურება

სასამართლო: უზენაესი სასამართლოს სასამართლოს აქტის  
ფორმა: გადაწყვეტილება

თარიღი: 20.12.2011

გამოქვეყნებულია: <http://prg.supremecourt.ge>

აქტის ნომერი: <sup>1</sup>ბს-1868-1821(2კ-10)

სამართლებრივი საფუძველი:

სსსკ 316 I

სსსკ 317 I

სსსკ 327 I

სსსკ 361 II

სსსკ 417

ზაკ-ის 2.1 მუხლის «ზ» ქვეპუნქტი

გამოქვეყნებულია:

<http://prg.supremecourt.ge>

საქართველოს უზენაესი სასამართლო 20.12.11, აქტის ნომერი <sup>1</sup>ბს-1868-1821(2კ-10)

ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადება:

1. ხელშეკრულების (კონტრაქტი) 7.3 მუხლით, თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობას იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს, შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით, აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხები შემდეგი წესით; ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ,

მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით; გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

2. სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. შესაბამისად, სსკ-ის 416-ე მუხლის თანახმად, მხარეებს ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეუძლით ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც, მათ შორის პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მხარემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. იმავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად კი, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს.

#### **ფაქტობრივი გარემოებები:**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის – ვ. ი-ის მიმართ და მოითხოვა, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მოპასუხისათვის: ჯარიმის სახით – 18171,07 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 5451,33 ლარის, ზიანის სახით – 5770,56 ლარისა და სანივთე ქონების დავალიანების სახით – 125,68 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძველით: მოსარჩელის მითითებით, ვ. ი-ი 2006 წლის 23 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე დაინიშნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის ბრძანებით 2007 წლის 24 ივლისიდან ვ. ი-ი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

მოსარჩელის მითითებით, ვ. ი-ი კონტრაქტის 8.2, 8.3 პუნქტების შესაბამისად, ვალდებულია გადაიხადოს ზიანის საკომპენსაციო თანხა, ვინაიდან, ვ. ი-ის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოუწია სხვა სამხედრო მოსამსახურესთან ახალი კონტრაქტის გაფორმება და მოპასუხეზე დახარჯული თანხის ხელახლა დახარჯვა ახალი სამხედრო მოსამსახურის სამხედრო მომზადების იმ დონემდე

მისაღწევად, რაც ჰქონდა მიღწეული მოპასუხეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს, ვ. ი-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 18171,07 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 5451,33 ლარის, სანივთე ქონების დავალიანების სახით – 125,68 ლარისა და ზიანის სახით – 279,45 ლარის ანაზღაურება, ხოლო ზიანის სახით – 5491,11 ლარის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

სსკ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად, «პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის». კონტრაქტის 7.4 მუხლით სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3. და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. აპელანტმა მოითხოვა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ვ. ი-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ვ. ი-ისათვის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ი-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები



ხელშეკრულებათა შესახებ. შესაბამისად, სსკ-ის 416-ე მუხლის თანახმად, მხარეებს ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეუძლიათ ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც, მათ შორის პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მხარემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. იმავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად კი, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე ვ. ი-მაც, რომელიც საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილის გაუქმებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი, კერძოდ: 2006 წლის 23 აგვისტოს მასსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების გაანალიზების, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვ. ი-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინება მოპასუხე ვ. ი-ისათვის პირგასამტეხლოს სახით ჯარიმის – 18171.07 ლარის 30%-ის – 5451,33 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ვ. ი-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – 5451,33 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს, დანარჩენ ნაწილში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიები პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების ნაწილში დასაბუთებელია, შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, შესაბამისად, სახეზეა ამ ნაწილში სსსკ-ის 393-ე394-ე მუხლის შესაბამისად განჩინების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2006 წლის 23 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ი-ს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება, 2006 წელს გაიწვიეს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა საინჟინრო-მესანგრეთა ასეულის საინჟინრო-მესანგრეთა II ოცეულის I ათეულის მესანგრედ. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, 2007 წლის 24 ივლისიდან ვ. ი-ი დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. სახმელეთო ჯარების სახელობის II ქვეით ბრიგადის 2010 წლის 25 აპრილის ცნობის შესაბამისად, ვ. ი-ის ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 491,11 ლარს, ხოლო ამავე ცნობის თანახმად მთლიანად ნამსახურობის პერიოდში ხელზე გაცემულმა ხელფასმა შეადგინა 5491,11 ლარი. საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოპასუხე – ვ. ი-ისათვის ჯარიმის თანხის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ ვ. ი-ს მართებულად დაეკისრა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ამავე კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, 2006 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების 7.3 მუხლი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი, ასეთ შემთხვევაში. სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით

სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთ წლამდე და 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; 2) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით. გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

ნიმანდობლივია ისიც, რომ საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა, რომ სასამართლოს ჯარიმის სახით უნდა დაეკისრებინა 14000 ლარი, როგორც ეს კონტრაქტში იყო მითითებული და არა 18171.07 ლარი, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა 7.3 «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის სახით, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ფულადი თანხა საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დადგენილია, რომ კონტრაქტით დარჩენილი 3 წლისა და 30 დღის ფულადი თანხა შეადგენდა 18171.07 ლარს, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასარჩლო მოთხოვნა მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია და ამ ნაწილში არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახულ დასკვნას მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების ნაწილში.

მხედველობაშია მისაღები, რომ საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ 2006 წლის 23 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ი-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველვადაგადაცილებულ დღეზე

ერიცებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

რა საკვირველია, საკასაციო სასამართლო ჯარიმის და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე 1ბს-1580-1509(კ-09) საქართველის თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-შვილის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: განმარტავს, რომ «სსკ-ის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უბიძგოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს. ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით. ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი

გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდევინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის - ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის - საურავი.

საგულისხმოა ისიც, რომ საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივისაღებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.»

განსახილველ შემთხვევაში მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ვ. ი-ის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც

მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი – კონტრაქტის 7.3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის – 18171,07 ლარის 30% – 5451.33 ლარი, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმას და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის 41 პუნქტი: «სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან».

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ი-ის საკასაციო საჩივარი პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების უკანონობის თაობაზე საფუძვლიანია, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ხოლო, რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ვ. ი-ისთვის სახელმწიფო ბაჟის – 720 ლარის დაკისრების ნაწილში, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იგი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან აღნიშნულის თაობაზე მას სააპელაციო სასამართლოსათვის არ მიუმართავას და სსკ-ის 406-ე მუხლიდან გამომდინარე, ვერ გახდება საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა 2006 წლის 23 აგვისტოს კონტრაქტის ბათილად ცნობის თაობაზე, ვინაიდან არც აღნიშნულ საკითხზე არ წარუდგენია შესაბამისი მოთხოვნა კასატორს რაიონულ და სააპელაციო სასამართლებში და შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით არ მოუხდენია მისი უფლების რეალიზაცია.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კასატორის საჩივარს აკმაყოფილებს ნაწილობრივ. აუქმებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29

ოქტომბრის განჩინებას მოჰასუხე ვ. ი-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელს ვ. ი-ისათვის პირგასამტეხლოს - 18171,07 ოდენობის თანხის 30%-ის დაკისრების ნაწილში არ აკმაყოფილებს; ხოლო დანარჩენ ნაწილში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებას ტოვებს უცვლელად.

## 6.1 საზღვარგარეთის სასამართლო პრაქტიკა

უახლესი გადაწყვეტილება (BGH, 2017 წლის 31 აგვისტოს განაჩენი, VII ZR 308/16) მკაცრ ხაზს უსვამს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს სტანდარტულ პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ამ ტიპის ხელშეკრულებაში ძირითადად ჩართული იყო სამშენებლო ინდუსტრია, ეს განაჩენი კეთდება პირგასამტეხლოზე დავაზე. კერძოდ, სამრეწველო სექტორზე, რომელშიც ნაგულისხმევი დებულებების ან კონფიდენციალურობის შეთანხმებების მნიშვნელობა ხშირად სათანადო პუნქტებითაა გათვალისწინებული. BGH- ის აზრი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რომელიც არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი.<sup>130</sup>

აქ საქმეზე, ვაუჩერების ბუკლეტის გამომცემელმა (გურმან წიგნი) მოაწყო აქცია რესტავრატორის წინააღმდეგ. რესტავრატორებს შეეძლოთ ორგვერდიანი რეკლამის განთავსება გურმან წიგნიში, თუ ისინი ვალდებულნი იქნებოდნენ, რომ ბუკლეტის მყიდველებს მომსახურებოდნენ ფასდაკლებით, თუ ეს უკანასკნელები სათანადო ვაუჩერს წარადგენდნენ. მოსარჩელესა და მოპასუხეს დადებული ჰქონდა ხელშეკრულება 2015 წელს. ამ სტანდარტული ფორმის ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს ეკისრებოდათ პირგასამტეხლო ვალდებულების დარღვევისას 2500 ევროს ოდენობით. როდესაც აღნიშნული წიგნის რამდენიმე მყიდველმა უჩივლა ვაუჩერების გადაუხდელობის გამო, მოპასუხემ განუმარტა მოსარჩელეს, რომ ის მხოლოდ მცირე ნაწილს ემსახურებოდა და რომ მომავალში ის არ იქნებოდა მზად ნებისმიერი ვაუჩერის გამოსყიდვისთვის. მომჩივანმა უპასუხა, რომ ასეთ შემთხვევაში შეთანხმებულნი იყვნენ პირგასამტეხლოზე 2500 ევროს ოდენობით. საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი. თუმცა BGH- მა არ დააკმაყოფილა და გაათავისუფლა პირგასამტეხლოსაგან. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) 307 (1) მუხლი. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ 2500 ევროს

<sup>130</sup> Effectiveness of contractual penalties in Standard General Terms and Conditions, 2017, <https://www.reuschlaw.de/en/news/effectiveness-of-contractual-penalties-in-standard-general-terms-and-conditions/>

რაოდენობის სახელშეკრულებო ჯარიმა, რომელიც ამ მცირე დარღვევებზე ვრცელდებოდა, იყო არაგონივრული.<sup>131</sup>

## დასკვნა

კონკრეტული ნაშრომით, ერთმანეთთან იქნა დაკავშირებული კერძო ავტონომიის პრინციპი, ვალდებულების დარღვევის შედეგები, მომხმარებელი როგორც „სუსტი“ მხარე და შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, როგორც მოვალე მხარის „დასჯის“ მექანიზმი. განხილულ იქნა სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისითაც, აგრეთვე საზღვარგარეთის პრაქტიკის გამოყენებით. გამოყენებულია უცხოენოვანი განმარტებები აღნიშნულ საკითხზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პირგასამტეხლოს გამოთვლის წესი, მათ შორის, თანხის პროპორციული ოდენობის განსაზღვრა ერთიან სისტემაში არ ექცევა. შედარების თვალსაზრისით, გსკ-ის მაგალითს თუ მოვიყვანთ, კანონშივეა მითითებული ის წინაპირობები, რა უნდა იქნეს გათვალისწინებული შემცირების შემთხვევაში (უპირველესად, ქონებრივი ინტერესი). ამასთან, განსხვავებულია პირგასამტეხლოს შემცირების და, მაშასადამე, ხელშეკრულების თავისუფლებაში ჩარევის ფარგლები გერმანიის კანონმდებლობით (გსკ-343(1) - თუ გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, მაშინ იგი მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შემცირდეს სათანადო თანხამდე. სათანადოობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კრედიტორის ნებისმიერი ლეგიტიმური და არა მარტო მისი უბრალოდ ქონებრივი ინტერესი. პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ მისი ოდენობის შემცირება დაუშვებელია.<sup>132</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელიც ე.წ. მინიმალური ზიანის ან, თუნდაც, ჰიპოთეტურად დაშვებული პრეზუმირებული ზიანის ანაზღაურებას ემსახურება, თუმცა, მისი მიზანი არა ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა, არამედ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. პირგასამტეხლოს გამოყენების წინაპირობაა ვალდებულების დარღვევა. იგი გამოიყენება მაშინაც, როდესაც დარღვევა უმნიშვნელოა და ასევე მაშინაც, როდესაც დარღვევას ზიანი არ მოყვლია. თავის მხრივ, პირგასამტეხლო ზიანის

<sup>131</sup> Effectiveness of contractual penalties in Standard General Terms and Conditions, 2017, <https://www.reuschlaw.de/en/news/effectiveness-of-contractual-penalties-in-standard-general-terms-and-conditions/>

<sup>132</sup> კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასაწავლო კომენტარი, 2014 წ, გვ.241.



ანაზღაურებას არ გამოორიცხავს, თუ რა თქმა უნდა ვალდებულების დარღვევის შედეგად სახეზეა ზიანი, რომლის კომპენსირება პირგასამტეხლოთი არ მოხდა. პირგასამტეხლოს ოდენობა მტკიცებას არ საჭიროებს, თუმცა დასაშვებია სასამართლო წესით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობის შეცვლა.<sup>133</sup>

პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ, თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას. ამდენად, თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამეწარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია და ა.შ. ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, შეესაბამება მხარეთა ნამდვილ ნებას და შემცირებას არ ექვემდებარება, მაგალითად, შედარებითსამართლებრივი ანალიზისათვის, გერმანიის სავაჭრო კოდექსის მიხედვით, მეწარმე სუბიექტის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს შემცირება არ ხდება, პირგასამტეხლოს შემცირება დაუშვებელია ასევე მაშინ, როდესაც პირგასამტეხლო უკვე ნებაყოფლობით გადახდილია.<sup>134</sup>

შედეგად, ვინაიდან ქართული კანონმდებლობით პირგასამტეხლოს განსაზღვრის კონკრეტული მოწესრიგება არ გვხვდება, სასამართლო თითოეულ განსახილველ შემთხვევაში ამოდის სსკ-ის 361-ე და 115-ე მუხლის ანალიზიდან და საკუთარ პოზიციას მხარის ქონებრივ მდგომარეობაზე, შესაძლო ზიანის ფაქტორებსა და სხვა არსებით პირობებზე აფუძნებს. ასევე სამოქალაქო კოდექსი არ აწესებს მოვალის მხრიდან პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნის ვალდებულებას. ამ საფუძვლებიდან გამომდინარე დიდია სასამართლოს როლი პირგასამტეხლოს შემცირების და ხელშეკრულების სუსტი მხარის დაცვის კუთხით.

კვლევამ აჩვენა, რომ აუცილებელია ისეთი პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც საქართველოს დღევანდელი მდგომარეობისთვის ყველაზე შესაფერისია (გამომდინარე ეკონომიკური ფაქტორებიდან). დაუშვებელია ქართულ სამართალში ამ კუთხით არსებული მდგომარეობის გაგრძელება. ასეთ პირობებში იქმნება უსამართლობის განცდა. ხშირია შემთხვევები, როცა გამარტივებული წარმოებისას უშუალოდ ხელშეკრულების მხარეს ვერ ბარდება

<sup>133</sup> [http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo\\_k.meskhishvili.pdf](http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf), გვ.11

<sup>134</sup> იქვე, გვ.10.

წინადადება და საჯარო შეტყობინებაც არაეფექტურია, შედეგად ვიღებთ მხოლოდ ერთი მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ხოლო მეორე მხარე ზედმეტად ზარალდება - ერთი მხარის მოთხოვნა რსულად კმაყოფილდება, მეორეს კი - არ ეძლევა საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება.

გამომდინარე ყველაფერი ზემოთაღნიშნულიდან, სისტემური ცვლილებები გარდაუვალია და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქართული სამართლისა და საზოგადოებისთვის.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ლიტერატურა

ახვლედიანი , ვალდებულებითი სამართალი, 1999

ბეგიაშვილი , ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, N1(2), 2011

ვაშაკიძე , კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1

ზარანდია , სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005

ზოიძე , სკ-ის კომენტარი, წიგნი III

თოდუა / ვილემსი , ვალდებულებითი სამართალი, 2006

კერესელიძე , უზოგადესი ცნებები, 2009

კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასაჩავლო კომენტარი, 2014

ლაკერბაია თ, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016

მესხიშვილი, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, 2014

რობაქიძე, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ.

სეხნიაშვილი, პირგასამტეხლოს ანაზღაურების ფარგლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016

ჩაჩანიძე, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, სამართლის ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2010 წ

ძლიერიშვილი ზ., სახელმეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014

ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი

ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001

ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი

ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმეკრულებო სამართალში გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბილისი, 2016

ჯორბენაძე ს., ხელმეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016 წ

ჯორბენაძე ს., ხელმეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017 წ.

ჯორბენაძე/გაწერელია, სკ-ის 417-420-ე მუხლების კომენტარი

BGH, Urteil vom 24.11.1989 – V ZR 16/88

Cloppenburg, Mahnken, Haftungsbeschränkungen im Anlagenbau und AGB-Recht, NZBau, Heft 12, Verlag C.H. Beck München, 2014, S. 750

Chanturia in Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im Kaukasus un in Zentralasien, Bestandsaufnahme und Entwicklung, BMV, Berliner Wissenschafts-Verlag GmbH, Berlin, 2010

Cutugno, Liquidated Damages vs. Contractual Penalty, 2016

Effectiveness of contractual penalties in Standard General Terms and Conditions, 2017, <https://www.reuschlaw.de/en/news/effectiveness-of-contractual-penalties-in-standard-general-terms-and-conditions/>

Fikentscher/Heinemann, Schuldrecht, AT und BT, 11. Auflage, S. 101

Fontaine, Content and Performace, The American Journal of Comarative Law, 1992

Köhler, Vertragsstrafe und Schadenersatz, GRUR, Heft 4, Verlag C.H. Beck, München, 1994

*Greiner, Die „Auftragssumme“ bei Vereinbarung einer Vertragsstrafe, ZfBR, Heft 2, Verlag C.H. Beck, München*

*Janoschek, Beck'scher Online-Kommentar BGB, §339, Rn. 3*

*Klumpp in AGB-Arbeitsrecht, Kommentar, Clemenz/Kreft/Krause (Hrsg.)*

*Law for business studies students. Keith Owens. "Cavendish Publishing Limited" 1995*

*Looschelders, Schuldrecht, Allgemeiner Teil, 15. Auflage, S. 288.*

*MüKo/ Krüger , BGB, 6. Aufl., 2012*

*Mirella, Contractual penalties: Theory and reality, 2016*

*Schuhmann, Terminalsicherung im Anlagenbau: Vertragsstrafe oder pauschalierter Schadenersatz? ZfBR, Heft 9, Verlag C.H. Beck, München, 2009*

*Schulze in Schulze u.a. Bürgerliches Gesetzbuch, 9. Auflage, §339, Rn. 11*

*Stadler in Jauering, Bürgerliches Gesetzbuch, 17. Auflage*

*Tamm in Vertragsrecht Kommentar, Tonner/Willingmann/Tamm (Hrsg.), §339, Rn. 2*

*The Yale Law Journal, Vol. 20, No. 2 (Dec., 1910)*

*Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005*

*Zweigert/Kötz, An Introduction to Comparative Law, Third Edition, 1998*

### **სასამართლო გადაწყვეტილებები**

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის № ას-7-362-07 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის № ას-839-890-2011 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 19 სექტემბრის №ას-233-225-2013 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის N ას-579-545-2010 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 9 ნოემბრის № ას-382-691-05 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის № ას-839-890-2011 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის № ას-1434-1449-2011 გადაწყვეტილება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება.ას-663-629-2015. 2015 წლის 28 ივლისი*

*სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 01 ნოემბრის №28/3027-12 გადაწყვეტილება*

*უზენაესი სასამართლოს 2012 წლის №ას-1560-1463-2012 გადაწყვეტილება*

*უზენაესი სასამართლოს 2013 წლის №ას-501-477-2013 გადაწყვეტილება*

*უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 20 დეკემბრის #ბს-690-684(2კ-11) განჩინება*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 23 მაისი 2017, №ას-1031-992-2016*

*BGH, 2017 წლის 31 აგვისტოს განაჩენი, VII ZR 308/16*

*Butler v. Myer, 17 Ind., 77; Pittsburg, Cincinnati, Chicago. and Louis R. R. Co. v. Sheppard, 56 Ohio, 68, Contra*

*Campbell v. Crampton*, 2 Fed., 417. In England, the rule is that "the personal capacity to enter into any contract is to be decided by the domicile"; *Guefratte v. Young*, 4 DeG. & Sen., 217

*Matthews v. Murchison*, 17 fed., 760; *Augusta Ins. & Banking Co. v. Morton*, 3 La. Ann., 417

*Scudder v. Union Nat. Bank*, 91 U. S., 406; *Baxter Nat. Bank v. Talbot*, 154 Mass., 213; *Union Nat. Bank v. Chapman*, 169 N. Y., 538

ინტერნეტ-წყაროები

<http://www.gccc.ge/>

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-800&a=d&c=samartal&cl=CL1.3&d=HASH01458542903da826029504b6.2.4>

[http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo\\_k.meskhishvili.pdf](http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf)

<https://www.vivus.ge/rogor-avigo/xelshekruleba/>

<https://blh.com.ge/forums/Topic>

<http://www.procurement.gov.ge/News/recomendacia-pirgasamtexlo.aspx>

<http://legal-dictionary.thefreedictionary.com/punitive+damages>

[https://geolaw.wordpress.com/2011/05/26.](https://geolaw.wordpress.com/2011/05/26/)

[http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo\\_k.meskhishvili.pdf](http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhlo_k.meskhishvili.pdf)